პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

КОММУНИСТ

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и
СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

№ 208 (9368)

სამშაბათი
2
სექტემბერი
1952 წ.

ფასი 20 კაპ.

ახალი წარმატებები მოვიპოვოთ მიმდინარე სასწავლო წელს

ბუშინ დაიწყო ახალი სასწავლო წელი. სწავლას შეუდგნენ ჩვენი დიდი ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდები — მოსწავლეები და სტუდენტები.

ახალი სასწავლო წლის დაწყება დაემთხვა იმ მომენტს, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა სასიხარულო დღეებს განიცდის. საბჭოთა სკოლის მუშაკები, სტუდენტები და უფროსი კლასების მოსწავლე ახალგაზრდობა, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთან ერთად გულდასმით განიხილავენ და სწავლობენ საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობის მასალებს.

ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტალინის მშობლიური მზრუნველობით გარემოსილი საბჭოთა სკოლის ახალი აღმავლობის გამოხატულებაა ის ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ახალი ხუთწლედის დირექტივების პროექტი ითვალისწინებს „დამთავრდეს შვიდწლიანი განათლებიდან საყოველთაო საშუალო განათლებაზე (ათწლედი) გადასვლა რესპუბლიკების დედაქალაქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, საოლქო, სამხარეო და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში. მომზადდეს პირობები, რათა შემდგომ ხუთწლედში მთლიანად განხორციელდეს საყოველთაო საშუალო განათლება (ათწლედი) დანარჩენ ქალაქებსა და სოფელ-ადგილებში“.

ახალ სასწავლო წელს საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებს სწავლის გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ. აშენდა რამდენიმე ახალი სასკოლო შენობა, კაპიტალურად შეკეთდა ძველი შენობები, დამზადდა ახალი მერხები, დაფები და სხვა სასკოლო ინვენტარი, კაბინეტ-ლაბორატორიები შეივსო ხელსაწყო-იარაღებით, სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის შეძენილი იქნა სხვადასხვა ლიტერატურა. ყველაფერი ეს იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ჩვენი რესპუბლიკის სკოლებმა ამთავითვე მკვიდრი საფუძველი ჩაუყაროს მეხუთე ხუთწლიანი გეგმით სკოლების წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელებას.

საბჭოთა სკოლის წინაშე დასახული ახალი ამოცანები მოითხოვენ ღრმა ანალიზი გავუკეთოთ მთელ ჩვენს განვლილ მუშაობას. სასწრაფოდ აღვკვეთოთ ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებსაც საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელთა მანკიერი მუშაობის შედეგად ფესვი ჰქონდა გადგმული სახალხო განათლების სისტემაში.

გასულ წელს მთელ რიგ რაიონებში იყო თვალთმაქცობის შემთხვევები, სახელმწიფოს აშკარა მოტყუება საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებაში. მართო ის ფაქტი, რომ გასული სასწავლო წლის დასაწყისში სკოლების გარეთ დარჩენილი იყო 45.689 სასკოლო ასაკის ბავშვი, მეტყველებს იმაზე, თუ რა არასერიოზულად ეკიდებოდნენ ამ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, რაიონული განათლების განყოფილებები და ცალკეული სკოლები.

წელს ეს დანაშაულებრივი მოქმედება არ უნდა განმეორდეს. ახალი სასწავლო წელი უნდა გახდეს საყოველთაო-სავალდებულო სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებათა სრული აღმოფხვრის წელი.

გასულ წელს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მეორეწლიანობასთან ბრძოლას. ამიტომ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა რიცხვმა, რომლებიც შარშან იმავე კლასში დარჩენენ, 77.298-ს მიაღწია. ეს პირველ რიგში აიხსნება იმით, რომ სკოლის დირექტორები, საგნის მასწავლებლები სათანადოდ არ მუშაობდნენ მოსწავლეებთან.

წელს რესპუბლიკის სკოლები შედარებით უზრუნველყოფილი არიან პედაგოგთა კადრებით, პროგრამებით, სახელმძღვანელოებით, სწავლისათვის საჭირო სხვა აუცილებელი პირობებით. ეს მდგომარეობა მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული. განათლების სამინისტრომ, მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა, სკოლებმა სწავლის დაწყების პირველი დღიდანვე უნდა დაისახონ მიზნად მეორეწლიანობის სრული აღკვეთა სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის მაღალ საფეხურზე აყვანის შედეგად.

წელს ათასობით ახალი მასწავლებელი დაიწყებს მუშაობას საშუალო, რვაწლიან და დაწყებითს სკოლებში. მათ დამთავრებული აქვთ სახელმწიფო უნივერსიტეტი და პედაგოგიური ინსტიტუტები. ისინი პირველად მიდიან ამ პასუხსაგებ სამუშაოზე. საჭიროა სერიოზული დახმარება გავუწიოთ მათ. ეს პირველ რიგში სკოლის დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეების, განათლების განყოფილებათა მუშაკების ამოცანაა.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში პარტიის ერთგული თანაშემწეა ლენინური კომკავშირი. სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა განუწყვეტლივ იმუშაონ მოსწავლე ახალგაზრდობასთან, აამაღლონ მისი პასუხისმგებლობის გრძნობა, დისციპლინა, შეაჩვიონ ახალგაზრდები მეცნიერების დაუფლებისათვის სისტემატურ და შეუპოვარ შრომას.

სწავლის დაწყების პირველმა დღემ გვიჩვენა, რომ ჩვენი სკოლები შარშანდელთან შედარებით უფრო კარგად მომზადებულან მეცადინეობის დაწყებისათვის. ეს მკვიდრი საფუძველია სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის გასაშლელად ახალი ამოცანების შესაბამისად.

ახალი თაობა ჩვენი იმედი, ჩვენი მომავალია. მისი აღზრდა საბჭოთა ქვეყნის პატრიოტებად, საფუძვლიანი მეცნიერული ცოდნით შეიარაღებულ მოქალაქეებად, კომუნიზმის მშენებელ, მტკიცე ნებისყოფის მოწინავე ადამიანებად — ასეთია საბჭოთა სკოლის, მასწავლებლებისა და სახალხო განათლების ორგანოების მუშაკთა საპატიო ამოცანა. ამ ამოცანისათვის ბრძოლას საფუძველი უნდა ჩაუყაროთ ახალი სასწავლო წლის პირველი დღეებიდანვე და მთელი ჩვენი მომავალი მუშაობა ამ დიდ მიზანს უნდა დაუქვემდებაროთ. ამას მოითხოვს სკოლის თვითეული მუშაკისაგან ახალი ხუთწლედის დირექტივები, ამას მოითხოვენ ჩვენი საყვარელი სამშობლო, საბჭოთა მთავრობა, ბოლშევიკური პარტია, ხალხთა ბრძენი ბელადი დიდი სტალინი.

სწავლა დაიწყო

პირველკლასელნი

გულისფანცქალით ელოდნენ პირველი სექტემბრის მოსვლას სასკოლო ასაკის ბავშვები. და აი დადგა ნანატრი დღე.

თბილისის ქალთა მე-2 საშუალო სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება პირველკლასელებზე იყო მიპყრობილი. დიდი და პატარა, მასწავლებლები და მოსწავლეები განსაკუთრებული სიყვარულით და მშობლიური მზრუნველობით შეეგებნენ ძვირფას პატარა სტუმრებს. „სალამი პირველკლასელებს!“ — ასეთი ლოზუნგით შეხვდა მათ სკოლა.

ეს თვალებგაბრწყინებული, ბედნიერი გოგონები იმ წელს არიან დაბადებულნი, როცა საბჭოთა ხალხმა დიდი სტალინის წინამძღოლობით ისტორიულ გამარჯვების მიაღწია დიდ სამამულო ომში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. მათი უმრავლესობა დაბადებულია გამარჯვების შემდეგ თვეებში, ბევრიც გამარჯვების თვეს — მაისში. აქ არიან ფრონტელთა შვილებიც. აი ერთი მათგანი—თვალეუჟეუნა გოგონა ირინე გაჩეჩილაძე. იგი ომგადახდილი, მძიმეჭრილობამიღებული ფრონტელის შვილია. აქ არიან მრავალი პროფესიის საბჭოთა ადამიანების შვილები: ცისანა მიქაბერიძე ელექტროჯილმშენის ოსტატის შვილია, ძარინე მამინაიშვილის მშობლები ინჟინრები არიან, ტატიანა ჩხარტიშვილის დედა მასწავლებელია, მამა—ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი. სკოლაში პატარა, ჭკვიანი ნანა დოჭვირი პირველად მოიყვანა მისმა მამამ — საბჭოთა აპარატის მოსამსახურემ.

დაუვიწყარი იქნება გუშინდელი დღე პირველკლასელებისათვის.

კეთილი იყოს თქვენი მოსვლა სკოლაში, პატარებო!

მეშახტეთა ქალაქის სკოლებში

ტყიბული. (საკ. კორ.). ორგანიზებულად დაიწყო ახალი სასწავლო წელი მეშახტეთა ქალაქში. ახლადაგებული სამსართულიანი სკოლის ეზოში დილის 8 საათზე მეორე საშუალო სკოლის ხუთასამდე ბავშვმა მოიყარა თავი. სწავლის დაწყების წინ სკოლის დირექტორი ა. ბოჭორიშვილი მოსწავლეებს ესაუბრა ახალი სასწავლო წლის ამოცანებზე. მოსწავლეებს მიესალმნენ ორდენოსანი მასწავლებელი ელენე დათუაძე და მასწავლებელი ნათელა ბაღდავაძე.

საინტერესო იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ვენერა ბოჭორიშვილის გაკვეთილი მეექვსე კლასში. პირველი გაკვეთილის ახსნისთანავე სკოლის კაბინეტ-ლაბორატორიებში არსებული ხელსაწყო-იარაღები მოხერხებულად გამოიყენეს მასწავლებლებმა ლ. უკლებამ, ნ. ბალანჩივაძემ, ლ. გრიგოლაშვილმა და სხვ.

ახალ სასწავლო წელს მომზადებულად შეხვდა ქალაქის პირველი საშუალო სკოლა. აქ მეხუთე კლასში ქართული ენის გაკვეთილი გადასცა მარგარიტა ქარქაშაძემ, რომელმაც მიმდინარე წელს დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი.

ხალისიანად დაიწყო მეცადინეობა ლენინისა და სტალინის სახელობის შახტების ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში.

სურათზე: თბილისის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის პირველკლასელები მარინე მამინაიშვილი (მარცხნივ) და ტატიანა ჩხარტიშვილი.

ფოტო ვ. ვახტანგაძისა.

ქვანახშირის მრეწველობის შახტების, მშენებლობათა და საწარმოთა მუშაკების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

დღეს, როცა საბჭოთა ხალხი აღნიშნავს „მეშახტის დღეს“, მეშახტეები გულითად სალამს გიძღვნით თქვენ, ბრძენ ბელადსა და მასწავლებელს, კომუნიზმის დიდ ხუროთმოძღვარს, მშვიდობის მედროშეს.

თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფასი თქვენი სახელი ჩვენი საყვარელი სამშობლოს აყვავებისათვის, ნათელი კომუნისტური მომავლისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლისა და გამარჯვების დროშაა.

თქვენი წინამძღოლობით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საბჭოთა ხალხი გაუხრელად მიდიან კომუნიზმის გზით, წარმატებით ახორციელებენ თქვენს დიად წინასწარდასახულობებს. ჩვენი ქვეყანა სათავეში უდგას სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკს; იგი მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრი ბურჯია.

დღითიდღე სულ უფრო მტკიცდება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერება, იფურჩქნება ჩვენი ხალხის კულტურა, უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა.

თავის ძალებსა და თავისი გზის სისწორეში დარწმუნებული საბჭოთა ხალხი ურყევი სიმშვიდითა და მომავლის რწმენით ეწევა შემოქმედებითს მუშაობას.

მსოფლიოში ვერავითარი ძალა ვერ შეაფერხებს საბჭოთა ხალხის ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ჩვენი პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ გამოხატავს საბჭოთა ადამიანების ფიქრებსა და მისწრაფებებს იხილონ თავიანთი სამშობლო კიდევ უფრო ძლიერი. საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ მზად არიან მთელი ძალები მოახმარონ ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლას, გეგმისა, რომელიც განსაზღვრავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას, უზრუნველყოფს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ მნიშვნელოვან ამაღლებას და წარმოადგენს დიდ ნაბიჯს წინ კომუნიზმის გზაზე.

საბჭოთა მეშახტეები ყოველთვის იყვნენ ჩვენი გმირი მშრომელი ხალხის პირველ რიგებში. იმ სიყვარულსა და მზრუნველობაზე, რომლითაც ისინი გარემოსილნი არიან ჩვენს ქვეყანაში, მეშახტეები უპასუხებენ ახალი შრომითი გმირობით, რაც ადიდებს ჩვენი სახელმწიფოს სახელს და განამტკიცებს მის ძალასა და ძლიერებას.

ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ვცხოვრობთ დიად სტალინურ ეპოქაში და ვშრომობთ სახალხო მეურნეობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს უბანზე, რომ ჩვენი შრომით შეგვაქვს წვლილი კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ჩვენი დღესასწაულის დღეს მოხარული ვართ მოგახსენოთ თქვენ, იოსებ ბესარიონის-ძევ, და მთელ საბჭოთა ხალხს, რომ ქვანახშირის ამოღების გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ვასრულებთ.

1952 წელს მეშახტის დღისათვის გეგმის გადამეტებით ამოღებულია დაახლოებით 1,5 მილიონი ტონა ქვანახშირი, და 1951 წელთან შედარებით ქვანახშირის ამოღება 8,1 პროცენტით გაიდიდა. გადიდდა კოქსადი ქვანახშირის ამოღება და, ვალდებულებანი, რომლებიც მეშახტეებმა იკისრეს მთელი 1952 წლისათვის ამ ქვანახშირის ამოღების დარგში, შესრულებულია ვადამდე, მეშახტის დღისათვის.

პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ ქვანახშირის მრეწველობის განვითარებას.

უკანასკნელ წლებში აშენდა და მწყობრში ჩადგა ასობით ახალი შახტი და ჭრილი, დიდძალი გამაუხვეველი და საბრიკეტო ფაბრიკა—ახალი მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი თანამედროვე საწარმოები.

ქვანახშირის მრეწველობაში მოხდა ძირეული თვისებრივი ცვლილებები, რომლებმაც უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდება. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ქვანახშირის მრეწველობაში მუშათა შრომის ნაყოფიერება გადიდდა 42,6 პროცენტით; კაპიტალურ მშენებლობაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე მუშის გამომუშავება ამავე პერიოდში გაიზარდა 42,7 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერების გადიდების ასეთი ტემპი შესაძლებელია მხოლოდ მეურნეობის სოციალისტური სისტემის დროს.

ქვანახშირის მრეწველობის განვითარებას თან ახლდა მუშაობის ეკონომიური მაჩვენებლების განუწყვეტელი გაუმჯობესება. უკანასკნელ წლებში ქვანახშირის თვითღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა, ქვანახშირის მრეწველობა რენტაბელურად მუშაობს და სახელმწიფოს აძლევს ასეულ მილიონობით მანეთ მოგებას.

განუწყვეტლივ უმჯობესდება ქვანახშირის ხარისხი.

ომისშემდგომ წლებში ქვანახშირის მექანიკური გაუხვების მოცულობა თითქმის ერთიოროთხად გაიზარდა და გადააჭარბა ომამდელ დონეს.

საბჭოთა მთავრობა და პირადად თქვენ, ამხანაგო სტალინ, განუწყვეტლივ ზრუნავთ. მეშახტეთა შრომის ყოველმხრივ შემსუბუქებისათვის და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამ ზრუნვის მეოხებით საბჭოთა ქვანახშირის მრეწველობა მსოფლიოში ყველაზე მექანიზებული გახდა. საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობაში მთლიანად დამთავრდა მთელი რიგი ძირითადი საწარმოო პროცესების მექანიზაცია. მსოფლიოში პირველად გადაჭრილია ლავებში ქვანახშირის დაყრის მექანიზაციის საკითხი ქვანახშირის კომბაინების გამოყენების საფუძველზე. თუ სამი წლის წინათ ლავებში ქვანახშირის დაყრა მხოლოდ ხელით წარმოებდა, ამჟამად ლავებში ქვანახშირის მექანიზებული დაყრა 24 პროცენტს აღწევს. ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მთელ რიგ უდიდეს კომბინატებში მისი დონე უფრო მაღალია და შეადგენს: კემეროვის ქვანახშირის კომბინატში — 53 პროცენტს, ყარაგანდის ქვანახშირის კომბინატში—50 პროცენტს.

ქანსატვირთავი და ქვანახშირის სატვირთავი მანქანების ფართო გამოყენებამ უზრუნველყო ქვანახშირისა და ქანების მექანიზებული დატვირთვის გადიდება შახტებში მოსამზადებელი გამომუშავების შესრულებისას.

საშახტო მშენებლობაში სამთო-საგვირაბო სამუშაოების მექანიზაციისა და უკეთ ორგანიზაციის მეოხებით 1952 წელს გაძლიერდა ვერტიკალური ჭაურებისა და ჰორიზონტალური სამთო გვირაბების გაყვანის ტემპი.

ქვანახშირის მრეწველობაში ამ ყველაზე შრომატევადი პროცესების მექანიზაციამ შესაძლებელი გახადა გაგვთავისუფლებინა ხელით მძიმე შრომისაგან ათასობით მეშახტე, რომლებმაც აიმაღლეს კვალიფიკაცია და გახდნენ კომბაინების, ქანსატვირთავი, ქვანახშირსატვირთავი და სხვა მანქანების მემანქანეები.

კომბაინებისა და სატვირთავი მანქანების გამოყენება ცვლის აგრეთვე შახტებში შრომის ორგანიზაციის ფორმებს. ფართო გავრცელება პოვეს კომპლექსურმა ბრიგადებმა.

ქვანახშირის მრეწველობის ხელახალმა ტექნიკურმა შეიარაღებამ მოითხოვა წარმოების უფრო სრულყოფილ ორგანიზაციაზე გადასვლა, როგორიც არის შახტებისა და ლავების მუშაობა გრაფიკით — ერთი ციკლი დღეღამეში. ახლა შრომის ეს პროგრესული ორგანიზაცია გამოყენებულია 1.400-ზე მეტ ლავსა და ასაწმენდ სანგრევში. წარმოების ორგანიზაციის ასეთი გარდაქმნა უზრუნველყოფს ქვანახშირის შახტებში ტექნიკის უფრო სრულად გამოყენებას, შესაძლებელს ხდის გამოვაღლიოთ არსებული რეზერვები და ახალ გზებს სახავს ქვანახშირის ამოღებისა და შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის.

წარმოების ორგანიზაციის გარდაქმნის შედეგად მკვეთრად გაუმჯობესდა შახტების მუშაობის ყველა ძირითადი ტექნიკურ - ეკონომიური მაჩვენებელი. იმ სანგრევებში, რომლებიც გადაყვანილია ციკლურობის გრაფიკით მუშაობაზე და ასრულებენ დაწესებულ ნორმატივებს, ქვანახშირის ამოღება გადიდდა ერთნახევარჯერ და უფრო მეტად, ხოლო შრომის ნაყოფიერება 32 პროცენტით.

ქვანახშირის მრეწველობის განვითარებისათვის ჩვენი პარტიისა და მთავრობის ყოველი ღონისძიება გამსჭვალულია ზრუნვით მეშახტეთა შრომისათვის, მათი საყოფაცხოვრებო და კულტურული პირობების გაუმჯობესებისათვის.

ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობამ მიიღო ისტორიული დადგენილება მეშახტეებისათვის უპირატესობისა და შეღავათების შესახებ.

ამ პერიოდის მანძილზე ქვანახშირის მრეწველობაში საექსპლოატაციოდ გადაცემულია დაახლოებით 7 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მეშახტეებისათვის. ეს თითქმის იმდენივეა, რა საცხოვრებელი ფართობიც ჰქონდა ქვანახშირის მრეწველობას ომამდელ წლებში.

ქვანახშირის აუზებში აშენებულია ორი ათასზე მეტი სკოლა, კლუბი, კულტურის სასახლე, საავადმყოფო, სტადიონი და სოციალ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტები.

სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება მეშახტეთა ქალაქები და დაბები.

საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის ძუშების ხელფასი ყველაზე მაღალია მრეწველობის სხვა დარგებთან შედარებით და უკანასკნელ წლებში შრომის ნაყოფიერების გადიდების, მექანიზაციისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების მეოხებით მნიშვნელოვნად გადიდდა. მთავრობის მიერ განხორციელებულმა სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების ხუთგზისმა შემცირებამ კიდევ უფრო გაადიდა მეშახტეთა რეალური ხელფასი.

მეშახტეებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის მეოხებით ქვანახშირის მრეწველობაში შექმნილია მუდმივი კვალიფიციური კადრები.

ასეულ ათასობით მუშა-მეშახტეები და მშენებლები ყოველწლიურად იმაღლებენ კვალიფიკაციას სხვადასხვა კურსებზე. ბევრმა მათგანმა რამდენიმე პროფესია აითვისა, ქვანახშირის მაღალკვალიფიციური ოსტატი გახდა და სრულყოფილად დაეუფლა თავის სპეციალობას.

ქვანახშირის ტახტებზე ფართო დანერგვამ [illegible] ლა მეშახტის შრომა. საბჭოთა მეშახტეები ის ადამიანები არიან, რომლებიც დაეუფლნენ თანამედროვე ტექნიკას, ისინი არიან მგზნებარე პატრიოტები, რომლებიც გვიჩვენებენ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ნიმუშებს, სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის ნიმუშებს.

იჩენენ რა მაღალ შეგნებას და შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას, ქვანახშირის მრეწველობის ასეულ ათასობით მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები განუწყვეტლივ აღმჯობესებენ მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს, პოულობენ ახალ გზებსა და შესაძლებლობებს ქვანახშირის მრეწველობის სწრაფი წინსვლისათვის. ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში გაიზარდნენ მეშახტეთა შესანიშნავი კადრები. ქვანახშირის მრეწველობაში კარგად არიან ცნობილნი წარმოების მოწინავე-ნოვატორები:

დონბასში — უბნების უფროსები კუზმა რეტკინი, ვასილ კურუსი, ნაუმ პრომუნინი, ლუკა კოპეიკო, ნიკოლოზ სალტიკოვი, ქვანახშირის კომბაინების მემანქანეები ტიხონ მიხაილოვი, პავლე დესეტერიჩენკო, ექვთიმე სტაროდუბცევი, მიხეილ ხალიმოშენი, დიმიტრი კრუტოუსი, საყელავი მანქანების მემანქანეები ექვთიმე დუხანინი, ანდრია ბოხდარენკო, გვირაბგამყვანები ვასილ ივანოვი, ივანე პობოკა, კუზმა ზრიანინი, ივანე მიშჩენკო, მნგრეველი პავლე პოდყაროვი, ამწმენდები ანდრია ძეგვედყინი, ვასილ კლეპალკო, პეტრე კოსმალენკო, ელექტრომავლის მემანქანე პავლე ლიხონინი, კონვეიერების გადამტანი კონსტანტინე ნიკიტინი, კალატოზი პეტრე დავიდოვი, ხურო ანატოლი ივაშჩენკო;

კუზნეცკის აუზში—უბნების უფროსები ალექსანდრე ანდრუსენკო, დიმიტრი ბრონნიკოვი, ეგორ სმოლიაკოვი, ქვანახშირის კომბაინების მემანქანეები ალექსანდრე ჩუსოვლიანოვი, ვასილ სალეევი, კარპ ტიხონოვი, ვლადიმერ ჩიფრანოვი, საყელავი მანქანების მემანქანეები პეტრ დუდარი, მოკეი მაკმაკოვი, გვირაბგამყვანი ივანე გოლოვინი, მნგრეველები პეტრე უსოვი, ვასილ სემიკინი, ამწმენდი თევდორე რაბი, ელექტრომავლის მემანქანე სერგეი ბანკო;

მოსკოვის აუზში — უბნების უფროსები ვასილ პაშკევიჩი, ალექსანდრე კორაბელნიკოვი, პეტრე სულა, ქვანახშირის კომბაინის მემანქანე ივანე ფურსინი, საყელავი მანქანების მემანქანეები ივანე ფილომონოვი, მინგაზ კამალდინოვი, მიხეილ ჩურკინი, ნიკოლოზ ტროფიმოვი, გვირაბგამყვანები ივანე ანოხინი, ნიკოლოზ მელიხოვი, ამწმენდი პეტრე პროხოროვი, ელექტრომავლის მემანქანე ანტონინა დოდევა, კალატოზი ივანე სიმონოვი, შემლესავი თევდორე ვოლოდინი;

ყარაგანდის აუზში—უბნების უფროსები პავლე ნესტერენკო, ივანე ტოპილინი, სამთო ოსტატი სმაგულ ნურკენოვი, ქვანახშირის კომბაინის მემანქანე ბაშირ ნურმაგამბეტოვი, საყელავი მანქანების მემანქანეები გრიგოლ ლიაშჩენკო, ალექსი სკაკუნი, გვირაბგამყვანები გალიულა ხაირულინი, დიუსემბაი მოლდაკანოვი, ამწმენდი კულბაი ისინი, კალატოზი ვასილ ბატვეევი, შემლესავი ივანე ავდეევი, ხურო ანატოლი პანფეროვი;

ურალში—კომბაინის მემანქანე პეტრე ტომილოვი, მნგრეველი ივანე მალიგინი, ამწმენდი ანდრია პაშნინი, გვირაბგამყვანები პეტრე ბანიკოვი, სტეფანე ნაზაროვი, ექსკავატორების მემანქანეები პეტრე ბიკოვი, ანდრია ანდრიუშენკო, გენადი ელიშევი, კალატოზი ვლადიმერ კასიანენკო. შემლესავი ივანე მიშკინი;

აღმოსავლეთ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში—უბნის უფროსი ივან[illegible] პრავდინი, სამთო ოსტატი თევდორ[illegible] ლევჩენკო, ქვანახშირის კომბაინების მემანქანეები კირილე რაზგონიავი[illegible] იაკობ ლუციკი, საყელავი მანქანების მემანქანეები ვასილ ორლოვი, ტიხონ გორბანევი, ექსკავატორების მემანქანეები ნიკოლოზ ოვჩინიკოვი, ვასილ სტასევიჩი, გვირაბგამყვანები ახმეტშა ზიგანშინი, გიორგი კონდრაშევი. მნგრეველები ივანე ბოჟოკი, ანდრია პარშინი, ამწმენდი ანდრია სმიკოვი;

შუა აზიაში—გვირაბგამყვანები ისმაილ ნასიკოვი, ვასილ გორბუნოვი, ამწმენდი ივანე ბრატერსკი, ექსკავატორის მემანქანე ხოჯა ალიკულოვი;

საქართველოში — უბნის უფროსი შოთა შოთაძე, საყელავი მანქანების მემანქანეები ივანე ბაკუროვი, სიმონ ვოლკოვი, მნგრეველები სილიბისტრო გვენეტაძე, გიორგი გოგიაშვილი, გვირაბგამყვანები პოლიაქტორ ჭელიშვილი, ნიკოლოზ ხაჭიპერაძე, მებიგე შალვა გვენეტაძე, ამწმენდი მიხეილ ნემსაძე, მებეტონე შოთა ჩარგეიშვილი;

ფიქალის მრეწველობაში — უბნების უფროსები ალექსანდრე კესკიულა, ივანე მოისეევი, სამთო ოსტატი იაკობ ალტი, საყელავი მანქანის მემანქანე თევდორე ვოლკოდავი, ამწმენდები ალბერტ რისტიკოვი, თეოკლისტე ფიკლისტოვი, გვირაბგამყვანი ვექტორ გორშკოვი, მბურღავი ებელ სინიმიაგი;

ქვანახშირის მრეწველობის მანქანათმშენებელ ქარხნებში — ხარატები ალექსანდრე გოლუბოვი, ნიკოლოზ ბროდსკი, მჭედელი მიხეილ ივნატენ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ქართული ბიბლიოთეკა

ქვანახშირის მრეწველობის შახტების, მშენებლობათა და საწარმოთა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

(დასასრული)

კო, ელექტროშემდუღებელი ივანე კნიაზევი.

ეს იმას მოწმობს, რომ მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონე განუზომლად ამაღლდა, რომ სულ უფრო ისპობა არსებითი განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის.

მაგრამ ჩვენ შეგნებული გვაქვს, ამხანაგო სტალინ, რომ მიუხედავად მოპოვებული წარმატებებისა, ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. კიდევ არის ისეთი შახტები და შენებლობანი, რომლებიც ვერ ასრულებენ ქვანახშირის ამოღებისა და კაპიტალური მშენებლობის, შრომის ნაყოფიერებისა და თვითღირებულების სახელმწიფო გეგმებს, ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ ტექნიკას, რომლითაც ჩვენმა ქვეყანამ ქვანახშირის მრეწველობა აღჭურვა.

იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რომლებიც თქვენ, ამხანაგო სტალინ, დასახეთ ქვანახშირის მრეწველობის წინაშე — ქვანახშირის ამოღება ავიყვანოთ 500 მილიონ ტონამდე წელიწადში, — საბჭოთა მეშახტეები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა რაც შეიძლება მოკლე ვადებში აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, გამოავლინონ და გამოიყენონ ახალი რეზერვები, უზრუნველყონ ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი განუხრელი აღმავლობა.

შეგნებული გვაქვს რა ამ საპატიო ამოცანის გადაჭრაში ჩვენი მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე, ვკისრულობთ:

განუხრელად გავადიდოთ ქვანახშირის და, პირველ რიგში, საკოქსავი ქვანახშირის ამოღება. ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ ქვანახშირის ამოღების შრომატევადი პროცესების და, პირველ რიგში, ლავებში ქვანახშირის დაყრის, ქვანახშირისა და ქანების დატვირთვის მექანიზაცია მოსამზადებელი მუშაობისას, აგრეთვე ლავების გამაგრების მექანიზებული ხერხები. უფრო ფართოდ დავნერგოთ უახლესი სამთო მანქანები და მექანიზმები ქვანახშირის მრეწველობის კომპლექსური მექანიზაციისა და შემდგომი ტექნიკური ხელახალი შეიარაღებისათვის ფართო მექანიზაციის, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, ციკლურობის გრაფიკით მუშაობაზე ლავების გადაყვანის და შრომითი და საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საფუძველზე უზრუნველყოთ შრომის ნაყოფიერების განუხრელი გადიდება.

სისტემატურად ვაუმჯობესოთ ქვანახშირის საბადოების დამუშავების მეთოდები, ვაუმჯობესოთ ქვანახშირის ხარისხი და მნიშვნელოვნად გავაფართოოთ მისი გაუხვება და დაბრიკეტება. დავძლიოთ ჩამორჩენა კაპიტალურ მშენებლობაში, გავაუმჯობესოთ მშენებლობის ხარისხი და შევამციროთ მისი ღირებულება. გავაუმჯობესოთ ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები და განუწყვეტლივ შევამციროთ ქვანახშირის თვითღირებულება.

1952 წლის დამლევამდე ვკისრულობთ:

სტალინქვანახშირის კომბინატში — ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა და დარჩენილ 4 თვეში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 75 ათასი ტონა ქვანახშირი, აქედან 29 ათასი ტონა საკოქსავი ქვანახშირი, და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, გავადიდოთ მუშათა შრომის ნაყოფიერება 6 პროცენტით 1951 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, დღეღამეში ერთი ციკლის გრაფიკით მუშაობაზე დამატებით გადავიყვანოთ 27 ლავი და ქვანახშირის მექანიზებული დაყრის დონე დამრეცი და დახრილი ვარდნის შახტებში ავიყვანოთ 31 პროცენტამდე, ვადამდე 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ წლიური გეგმა კაპიტალური მშენებლობისა, 5 დეკემბრისათვის საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა, ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებით ჩვენს ქვეყანას მივცეთ ერთი მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

არტემქვანახშირის კომბინატში — ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა და დარჩენილ 4 თვეში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 60 ათასი ტონა საკოქსავი ქვანახშირი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი. დღეღამეში ერთი ციკლის გრაფიკით მუშაობაზე დამატებით გადავიყვანოთ 21 ლავი, ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმა.

სტალინშახტმშენის კომბინატში — ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა, 5 დეკემბრისათვის—საცხოვრებელი ფართობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემისა, დავამთავროთ მშენებლობა და ავამუშაოთ ტრესტ სტალინშახტმშენში 3 შახტი IV კვარტალში, არტემშახტმშენში ერთი შახტი სექტემბერში და ტრესტ კრასნოარმეისკშახტმშენში ერთი შახტი 7 ნოემბრისათვის.

ვოროშილოვგრადქვანახშირის კომბინატში — ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა და დარჩენილ ოთხ თვეში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 45 ათასი ტონა ქვანახშირი, აქედან 20 ათასი ტონა საკოქსავი ქვანახშირი, და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, იმ ლავების რაოდენობა, რომლებიც დღეღამეში ერთი ციკლის გრაფიკით მუშაობენ, ავიყვანოთ 190-მდე და ავამაღლოთ ქვანახშირის მექანიზებული დაყრის დონე დამრეცი და დახრილი ვარდნის შახტებში 42 პროცენტამდე. ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმა და 5 დეკემბრისათვის საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმა.

დონბასანტრაციტის კომბინატში—ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა და დარჩენილ 4 თვეში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 36 ათასი ტონა ქვანახშირი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, დღეღამეში ერთი ციკლის გრაფიკით მუშაობაზე დამატებით გადავიყვანოთ 8 ლავი და ქვანახშირის მექანიზებული დაყრის დონე დამრეცი და დახრილი ვარდნის შახტებში ავიყვანოთ 15 პროცენტამდე, ვადამდე 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმა და 5 დეკემბრისათვის საბინაო მშენებლობის გეგმა, გეგმის გადამეტებით საექსპლოატაციოდ გადავცეთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების 5 ობიექტი.

ვოროშილოვგრადშახტმშენის კომბინატში—10 მილიონი მანეთის გადაჭარბებით შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა და დარჩენილ 4 თვეში საექსპლოატაციოდ გადავცეთ 7 შახტი, ვადამდე შევასრულოთ საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით ავაშენოთ 3,6 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, 21 დეკემბრისათვის საექსპლოატაციოდ გადავცეთ წლიური გეგმით გათვალისწინებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები.

როსტოვქვანახშირის კომბინატში — ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა და დარჩენილ 4 თვეში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 55 ათასი ტონა ქვანახშირი, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, იმ ლავების რაოდენობა, რომლებიც დღეღამეში ერთი ციკლის გრაფიკით მუშაობენ, ავიყვანოთ ყველა ლავის რაოდენობის 60 პროცენტამდე და ავამაღლოთ ქვანახშირის მექანიზებული დაყრის დონე დამრეცი და დახრილი ვარდნის შახტებში 10 პროცენტამდე გასული წლის დეკემბერთან შედარებით, ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმა და 5 დეკემბრისათვის საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის წლიური გეგმა.

უკრაინაქვანახშირმშენის კომბინატში — ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა და ჩვენს ქვეყანას გეგმის გადამეტებით მივცეთ 85 ათასი ტონა ქვანახშირი, 7 ნოემბრისათვის — ნარიყის გადახსნისა ჭრილების მშენებლობაზე, 21 დეკემბრისათვის — სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა. და IV კვარტალში საექსპლოატაციოდ გადავცეთ სემიონოვსკის ქვანახშირის ჭრილი და სემიონოვსკის საბრიკეტო ფაბრიკა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ამუშავების გეგმა შევასრულოთ 7 ნოემბრისათვის.

დასავლეთშახტმშენის ტრესტში — ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და 5 დეკემბრისათვის—საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა, პოროიცკის № 1 და № 2 შახტებში ჭაურის გათხრის ტემპი თვეში ავიყვანოთ 50 გრძივმეტრამდე.

მოსკოვქვანახშირის კომბინატში — ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა და დარჩენილ 4 თვეში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 45 ათასი ტონა ქვანახშირი, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, მუშათა შრომის ნაყოფიერება 1951 წლის შესაფერის პერიოდთან შედარებით გავადიდოთ 5 პროცენტით, დღეღამეში ერთი ციკლის გრაფიკით მუშაობაზე დამატებით გადავიყვანოთ 25 ლავი, ვადამდე, 5 დეკემბრისათვის შევასრულოთ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის წლიური გეგმა.

ცენტრშახტმშენის მთავარი სამმართველოს მოსკოვშახტმშენის ტრესტში—ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა და წლის დამლევამდე საექსპლოატაციოდ გადავცეთ 4 შახტი, საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა შევასრულოთ 5 დეკემბრისათვის.

ცენტრშახტმშენის მთავარი სამმართველოს მოსკოვსამოქალაქოსაცხოვრებელქვანახშირმშენის ტრესტში — ვადამდე, 30 ნოემბრისათვის შევასრულოთ საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა.

ცენტრშახტმშენის მთავარი სამმართველოს ნელიდოვშახტმშენის ტრესტში — 6 მილიონი მანეთის გადაჭარბებით შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა და წლიური გეგმის გადამეტებით ავაშენოთ 4 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

შახტსპეცმშენის ტრესტში—ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ შახტების ჭაურის გაყვანისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა და დარჩენილ 4 თვეში დავამთავროთ 20 ჭაურის გათხრა, შახტების ჭაურის გათხრის ტემპი კესონურ სამუშაოთა დროს გავაძლიეროთ 10 პროცენტით, გრუნტების გაყინვის დროს — 15 პროცენტით დაწესებულ ნორმატივებთან შედარებით.

ტულაქვანახშირის კომბინატში—ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა, დარჩენილ 4 თვეში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 30 ათასი ტონა ქვანახშირი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, მუშათა შრომის ნაყოფიერება 1951 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გავადიდოთ 6 პროცენტით, დღეღამეში ერთი ციკლის გრაფიკით მუშაობაზე დამატებით გადავიყვანოთ 20 ლავი, ვადამდე, 5 დეკემბრისათვის შევასრულოთ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის წლიური გეგმა, ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების გზით შეექმნათ 400 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

კუზბასქვანახშირის კომბინატში — ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა, დარჩენილ 4 თვეში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 150 ათასი ტონა ქვანახშირი, აქედან 50 ათასი ტონა საკოქსე ქვანახშირი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, მუშათა შრომის ნაყოფიერება 1951 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გავადიდოთ 6 პროცენტით, დღეღამეში ერთი ციკლის გრაფიკით მუშაობაზე გადავიყვანოთ დამატებით 20 ლავი, ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ კაპიტალური მშენებლობის, 5 დეკემბრისათვის საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა, ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების გზით 1 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

კუზბასშახტმშენის კომბინატში—ვადამდე, 28 დეკემბრისათვის შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა და საექსპლოატაციოდ გადავცეთ 4 შახტი და ქვანახშირის გამაუხვებელი 5 ფაბრიკა, 5 დეკემბრისათვის შევასრულოთ საცხოვრებელი ფართობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა.

ყარაგანდაქვანახშირის კომბინატში — ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა, დარჩენილ 4 თვეში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 65 ათასი ტონა ქვანახშირი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, მუშათა შრომის ნაყოფიერება 1951 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გავადიდოთ 7 პროცენტით, დამრეცი და დახრილი ვარდნის შახტებში ქვანახშირის მექანიზებული დაყრის დონე ავიყვანოთ 65 პროცენტამდე, ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ კაპიტალური მშენებლობის, 5 დეკემბრისათვის — საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის წლიური გეგმა.

ყარაგანდაშახტმშენის კომბინატში — ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა, ამ ვადისათვის საექსპლოატაციოდ გადავცეთ ერთი შახტი და ორი ხის დასამუშავებელი კომბინატის პირველი რიგი, საცხოვრებელი ფართობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების, მათ შორის 15 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა შევასრულოთ 21 დეკემბრისათვის.

მოლოტოვქვანახშირის კომბინატში—ვადამდე შევასრულოთ სტალინქვანახშირის, კიზელქვანახშირისა და კოსპაშქვანახშირის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 80 ათასი ტონა, აქედან 22 ათასი ტონა საკოქსავი ქვანახშირი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, მუშათა შრომის ნაყოფიერების წლიური გეგმა შევასრულოთ სტალინქვანახშირის ტრესტში — 101 პროცენტით, კოსპაშქვანახშირის ტრესტში — 101,5 პროცენტით, კიზელქვანახშირის ტრესტში—102 პროცენტით, ქვანახშირის მექანიზებული დაყრის დონე ავიყვანოთ სტალინქვანახშირის ტრესტის ასაწმენდ სანგრევებში 23 პროცენტამდე და კიზელქვანახშირისა და კოსპაშქვანახშირის ტრესტების ასაწმენდ სანგრევებში — 53 პროცენტამდე.

აღმოსავლეთქვანახშირმშენის მთავარსამმართველოს კიზელშახტმშენისა და № 29 ტრესტებში—ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა, 1 დეკემბრისათვის ავაშენოთ და საექსპლოატაციოდ გადავცეთ წლიური გეგმით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართობი № 29 ტრესტში, 7 ნოემბრისათვის შევასრულოთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა კიზელშახტმშენისა და № 29 ტრესტებში.

ჩელიაბინსკქვანახშირის კომბინატში —ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა, დარჩენილ 4 თვეში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 50 ათასი ტონა ქვანახშირი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, მუშათა შრომის ნაყოფიერება 1951 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გავადიდოთ 8,3 პროცენტით, დღეღამეში ერთი ციკლის გრაფიკით მუშაობაზე გადავიყვანოთ დამატებით 6 ლავი და დამრეცი და დახრილი ვარდნის შახტებში ქვანახშირის მექანიზებული დაყრის დონე ავიყვანოთ 9 პროცენტამდე, ვადამდე, 7 ნოემბრისათვის შევასრულოთ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის წლიური გეგმა, ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების გზით წლის მეორე ნახევარში შეექმნათ სულ ცოტა 1 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

აღმოსავლეთქვანახშირმშენის მთავარსამმართველოს ჩელიაბინსკშახტმშენის ტრესტში — ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, 5 დეკემბრისათვის საცხოვრებელი ფართობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა.

სვერდლოვსკქვანახშირის კომბინატში — ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა, დარჩენილ 4 თვეში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 85 ათასი ტონა ქვანახშირი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, მუშათა შრომის ნაყოფიერება 1951 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გავადიდოთ 14 პროცენტით, ვადამდე, 5 დეკემბრისათვის შევასრულოთ საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა.

აღმოსავლეთ ციმბირის ქვანახშირის კომბინატში — ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა, დარჩენილ 4 თვეში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 33 ათასი ტონა ქვანახშირი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, მუშათა შრომის ნაყოფიერება 1951 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გავადიდოთ 7,6 პროცენტით, დღეღამეში ერთი ციკლის გრაფიკით მუშაობაზე გადავიყვანოთ დამატებით 20 ასაწმენდი სანგრევი და დამრეცი და დახრილი ვარდნის შახტებში მექანიზებული დაყრის დონე ავიყვანოთ 37 პროცენტამდე, ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ კაპიტალური მშენებლობის და 5 დეკემბრისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების ექსპლოატაციაში გადაცემის წლიური გეგმა.

აღმოსავლეთქვანახშირმშენის მთავარსამმართველოს ჩერემხოვშახტმშენის ტრესტში — ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა.

კრასნოიარსკის ქვანახშირის კომბინატში — ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა, დარჩენილ 4 თვეში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 35 ათასი ტონა ქვანახშირი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, მუშათა შრომის ნაყოფიერება 1951 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გავადიდოთ 12,1 პროცენტით, ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების გზით შეექმნათ 400 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

აღმოსავლეთქვანახშირმშენის მთავარსამმართველოს კრასნოიარსკშახტმშენის ტრესტში — ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა, 7 ნოემბრისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა.

ხაბაროვსკქვანახშირის კომბინატში — ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა, დარჩენილ 4 თვეში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 70 ათასი ტონა ქვანახშირი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, მუშათა შრომის ნაყოფიერება 1951 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გავადიდოთ 9,6 პროცენტით, ვადამდე 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ კაპიტალური მშენებლობის, 5 დეკემბრისათვის—კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის წლიური გეგმა, 5 დეკემბრისათვის საექსპლოატაციოდ გადავცეთ 3.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გეგმის გადამეტებით, ოთხ თვეში შევქმნათ 1 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

აღმოსავლეთ ქვანახშირმშენის მთავარი სამმართველოს რაიჩიხქვანახშირმშენის ტრესტში — ვადამდე 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა.

ზღვისპირეთის ქვანახშირის კომბინატში — ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა, დარჩენილი 4 თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 30 ათასი ტონა ქვანახშირი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, გავადიდოთ მუშათა შრომის ნაყოფიერება 1951 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5 პროცენტით, ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ კაპიტალური მშენებლობისა და 7 ნოემბრისათვის საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატში — ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა, დარჩენილი 4 თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 40 ათასი ტონა ქვანახშირი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, გავადიდოთ მუშათა შრომის ნაყოფიერება 1951 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8,6 პროცენტით, დღეღამეში ერთი ციკლის გრაფიკით მუშაობაზე დამატებით გადავიყვანოთ 9 ლავი და დამრეცი და დახრილი ვარდნის შახტებში ქვანახშირის მექანიზებული დაყრის დონე ავიყვანოთ 35 პროცენტამდე, ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ კაპიტალური მშენებლობის, ხოლო 5 დეკემბრისათვის — საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის წლიური გეგმა.

საქშახტმშენის სამმართველოში — ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა.

შუა აზიის ქვანახშირის კომბინატში — ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა, დარჩენილი 4 თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 100 ათასი ტონა ქვანახშირი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, გავადიდოთ მუშათა შრომის ნაყოფიერება 1951 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10,7 პროცენტით, ქვანახშირის მექანიზებული გაყალვის დონე შახტებში ავიყვანოთ 13 პროცენტამდე, ვადამდე, 7 ნოემბრისათვის შევასრულოთ საბინაო მშენებლობის წლიური გეგმა.

ესტონეთის ფიქალის კომბინატში — ვადამდე შევასრულოთ წლიური გეგმა, დარჩენილი 4 თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 30 ათასი ტონა ფიქალი და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, გავადიდოთ მუშათა შრომის ნაყოფიერება 1952 წლის გეგმასთან შედარებით 5 პროცენტით, შევასრულოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა 21 დეკემბრისათვის, საბინაო მშენებლობისა — 5 დეკემბრისათვის, შეექმნათ ფიქალის თვითღირებულების შემცირებით 500 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ქვანახშირის მანქანათმშენებლობის მთავარ სამმართველოში — ვადამდე შევასრულოთ წლიური საწარმოო გეგმა, წლიური გეგმის გადამეტებით დავამზადოთ 50 მილიონი მანეთის სამთო-საშახტო მოწყობილობა. წლის ბოლომდე დავამზადოთ 40 ტიპის ახალი მანქანები და მექანიზმები ქვანახშირის ამოღების შემდგომი მექანიზაციისათვის, აქედან: გორლოვკის კიროვის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან ქარხანაში — ქანის შრეების ამოსაღები საყელავი მანქანა და დანაწილებით ამოსაღები კომბაინი, ხარკოვის ლენინის ორდენოსან ქარხანა „სვეტ შახტიორაში“ — სკ-30 და სკმ-2 მარკის მომხვეტი კონვეიერები ქვანახშირის მიწისქვეშა ტრანსპორტირებისათვის, ვოროშილოვგრადის პარხომენკოს სახელობის ქარხანაში — ვომ-მ10 მარკის ქვანახშირის გამაუხვებელი უდგუშო მანქანა, ტომსკის ვახრუშევის სახელობის ქარხანაში — ებმგ-25 მარკის ელექტროსაბურღავი ჩაქუჩი, ტორეცის ვოროშილოვის სახელობის ქარხანაში სოლისებრი ორგანული კედლები თხელ ფენებზე სახურავის გასამაგრებლად, ლაპტევოს მანქანათმშენებელ ქარხანაში — აიაპ9-300 მარკის მაღალი წნევის ტუმბო მარგი მოქმედების გადიდებული კოეფიციენტით; დავამზადოთ კოპეისკის კიროვის სახელობის ქარხანასა და ტორეცის ვოროშილოვის სახელობის ქარხანაში გვირაბგამყვანი კომბაინები; 3,2 პროცენტის გადამეტებით შევასრულოთ შრომის ნაყოფიერების წლიური გეგმა, 15,3 პროცენტით შევამციროთ წარმოების ხარჯები და შესადარი პროდუქციის თვითღირებულება შარშანდელთან შედარებით.

მშენებლობის მექანიზაციის მთავარ სამმართველოში — ვადამდე, 21 დეკემბრისათვის შევასრულოთ საერთო და სასაქონლო პროდუქციის წლიური საწარმოო გეგმა, წლიური გეგმის გადამეტებით დავამზადოთ 100 ცალი გვირაბგამყვანი ტუმბო, 35 ცალი სიღრმის ტუმბო, 100 ცალი გვირაბგამყვანი ჯალამბარი და 30 ცალი გრეიფერული ბნევმატიკური მტვირთავი, 18 პროცენტით შევამციროთ წლის დამლევისათვის გამოშვებული პროდუქციის შრომატევადობა შარშანდელთან შედარებით, 3 პროცენტის გადამეტებით შევასრულოთ შრომის ნაყოფიერების წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით 2 პროცენტით შევამციროთ შესადარი პროდუქციის თვითღირებულება.

კომუნისტური პარტიის გარშემო, მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხი ახალი შესანიშნავი წარმატებებით ეგებება საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობას.

ვიბრძვით რა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, ჩვენ არ დავიშურებთ ძალასა და შრომას, რათა შევასრულოთ დირექტივები. ჩვენი პარტიისა, რომელსაც მივყავართ ახალი უდიდესი გამარჯვებებისაკენ.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძე!

ჩვენ, მეშახტეებს, მხურვალედ გვიყვარს ჩვენი მშვენიერი სამშობლო და მთელ ძალღონეს მოვახმართ მისი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას და აყვავებას.

გაძლევთ, ამხანაგო სტალინ, მეშახტის მტკიცე სიტყვას, რომ ღირსეულად შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს, რომ კვლავაც ვიქნებით ჩვენი გმირი მშრომელი ხალხის პირველ რიგებში და ჩვენს წვლილს შევიტანთ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში.

გისურვებთ, ძვირფასო და საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძე, ჯანმრთელობასა და მრავალ წელს სიცოცხლეს საბჭოთა ადამიანების სასიხარულოდ და საბედნიეროდ, მთელი პროგრესული კაცობრიობის სასიხარულოდ და საბედნიეროდ.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის გმირ პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

დიდება დიდ ბელადსა და მასწავლებელს, მშობლიურ და საყვარელ ამხანაგ სტალინს!

განხილული და მიღებულია ქვანახშირის მრეწველობის შახტების, მშენებლობებისა და საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კრებებზე.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1952 წლის 30 აგვისტოს გაიმართა საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმი. პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმმა საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობისა და საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. მ. ა. მეგრელიშვილი პარტიულ სამუშაოზე მისი გადაყვანის გამო.

პლენუმმა საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობასა და პიონერთა შორის მუშაობის დარგში მდივნის თანამდებობისა და საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. გ. ა. ურიდია პარტიულ სამუშაოზე მისი გადაყვანის გამო.

საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. რ. ს. კანდელაკი. საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად მოსწავლე ახალგაზრდობასა და პიონერთა შორის მუშაობის დარგში და საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. ს. ტ. რიგვავა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილმა, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგემ ამხ. ვ. კ. ბალავაძემ.

პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე ფართოდ განიხილავენ მასალებს საკავშირო კ. პ. (ბ) XIX ყრილობისათვის

თბილისის რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

ლენინის რაიონი

ორ დღეს მიმდინარეობდა ლენინის რაიონის პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე, რომელმაც დამსწრეთა მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩაიარა, აღინიშნა, რომ რაიონის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ. მომხსენებელმა, პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ტატიშვილმა და დელეგატებმა განაცხადეს, რომ მშრომელები გულმოდგინედ შეუდგნენ საყრილობო დოკუმენტების შესწავლას. რაიონის ყველა საწარმოში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად.

საანგარიშო პერიოდში პარტიული მუშაობის გარდაქმნის დაწყების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობა. მიმდინარე წლის 7 თვის დავალება რაიონის საწარმოებმა 101,8 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით 21 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. მინიმუმამდე შემცირდა წუნი, შემცირდა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

ამასთან აღინიშნა, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ დაწესებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის დაცვის საკითხებს. ამ საქმეზე არ ამახვილებენ საწარმოთა კოლექტივების ყურადღებას.

მომხსენებელი შეეხო შინაპარტიული მუშაობის საკითხებს და აღნიშნა, რომ რაიონის მთელ რიგ პარტორგანიზაციებში ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ პარტიული კრებების მომზადებასა და ჩატარებას. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პარტიის რიგების ზრდა. საკმარისია ითქვას, რომ რაიონის 59 პირველადს პარტიულ ორგანიზაციას საანგარიშო პერიოდში პარტიაში არც ერთი კაცი არ მიუღია.

მომხსენებელი შეეხო კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებისა და კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ნაკლოვან მხარეებს.

დელეგატებმა, რომლებიც მოხსენების გამო სიტყვებით გამოვიდნენ, აღნიშნეს, რომ პარტიის რაიკომი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ეხმარება და ხელმძღვანელობს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

— ჩვენი კვანძის საწარმოთა კოლექტივები, — თქვა რკინიგზის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ლ. ჭკუასელმა,—ახლა გულდასმით სწავლობენ თავიანთ შესაძლებლობებს, ავლენენ რეზერვებს და, დგებიან რა პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე, ახალ, გადიდებულ ვალდებულებას კისრულობენ. თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივმა, რომელიც ყრილობის აღსანიშნავ სტახანოვურ ვახტზე დგას, დაიავალა ლოკომოტივების სადღეღამისო გარბენა ყოველთვიურად 11 კილომეტრით გაადიდოს, გაზარდოს ტექნიკური სიჩქარე, სამეურნეო ანგარიშის განხორციელებით 5 ოქტომბრისათვის მიიღოს 20 ათასი მანეთის ეკონომია. ყრილობის მოწვევის დღისათვის შეასრულოს ელმავლების აწევითი შეკეთების წლიური გეგმა. დეპოს კოლექტივმა უკვე გადადგა ნაბიჯები აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

შემდეგ ამხ. ჭკუასელი აღნიშნავს, რომ საორთქლმავალო და საელმავლო დეპოებისა და სატვირთო და სამგზავრო-საბაგონო უბნების მუშაობის ნაკლოვანებანი ხელს უშლიან ტრანსპორტის გამართულ მუშაობას. ტრანსპორტის საწარმოთა და ცალკე ობიექტების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი პირველ რიგში იმით უნდა ავხსნათ, რომ კვანძის პარტიული ორგანიზაციები ვერ დგანან თავიანთი ამოცანების სიმაღლეზე. რკინიგზელთა შორის სუსტად არის დაყენებული საგიტაციო-მასობრივი მუშაობა.

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სტახანოველმა პ. ზუბრიცკიმ აღნიშნა ქარხნის კოლექტივის შრომითი აღმავლობა, რაც პარტიის XIX ყრილობის მოწვევის შესახებ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ გამოიწვია. ჩვენ —განაცხადა მან,— უკვე შევუდექით პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებათა შესრულებას.

რამდენიმე თვის წინ, — განაგრძო შემდეგ ამხ. ზუბრიცკიმ, — ჩვენთან პარტიულ კრებას პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ზედგინიძე და რაიკომის მდივანი ამხ. გ. ტატიშვილი დაესწრნენ. კრებაზე კომუნისტებმა მთელი რიგი საინტერესო და საქმიანი წინადადებანი წამოაყენეს. ამ წინადადებათა განხორციელებაში საჭირო იყო ამხ. ზედგინიძისა და გ. ტატიშვილის დახმარება. ისინი შეგვპირდნენ ამას, მაგრამ გავიდა თვეები, დახმარება კი არა ჩანს. ამხ. ზუბრიცკიმ ილაპარაკა აგრეთვე რაიონის კეთილმოწყობისა და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებზე, ამასთან წამოაყენა მთელი რიგი საქმიანი წინადადებანი წარმოების პროცესების გასაუმჯობესებლად.

საელმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანმა ამხ. დოლიძემ თავისი გამოსვლა ძირითადად მიუძღვნა დეპოსა და მისი პარტიული ორგანიზაციის ნაკლოვანებათა მხილებას.

— დეპოს სამეურნეო საქმიანობაში, —თქვა მან, — გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლოკომოტივის ბრიგადების გრაფიკით მუშაობის მოწყობას. მუშაობის ეს უბანი ჩვენთან ყველაზე უფრო ჩამორჩება. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ამ საკითხით პარტიის რაიკომი და გზის თბილისის პოლიტგანყოფილება ერთხელაც არ დაინტერესებულან.

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. ნანიშვილისაგან დელეგატები მოელოდნენ, რომ იგი კონკრეტულად და საქმიანად ილაპარაკებდა ქარხნისა და მისი პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილებაზე. მაგრამ მან თავისი გამოსვლა ძირითადად ფაქტების უბრალო ჩამოთვლას მიუძღვნა, კონკრეტულად არაფერი თქვა აგრეთვე იმაზე, თუ როგორ გამოეხმაურა ქარხნის კოლექტივი ცნობას პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ.

საანგარიშო მოხსენების გამო სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ა. მელაძე (კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორი), ა. ქურიძე (ქალთა მე-19 საშუალო სკოლის დირექტორი), ი. ჭუმბურიძე (თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სტახანოველი) და სხვ.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და მიიღო სათანადო დადგენილება.

* * *

კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით განიხილეს ლენინ-სტალინის პარტიის მორიგი XIX ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ისტორიული დოკუმენტები.

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსმა ამხ. დ. ზამაცაშვილმა, რომელიც სიტყვით პირველი გამოვიდა, კონფერენციის დელეგატებს მოუთხრო იმ შრომითს აღმავლობაზე, რაც ქარხნის კოლექტივში გამოიწვია ცნობამ პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ.

შემდეგ მან დელეგატებს გააცნო ის წინადადებანი, რაც ქარხნის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე კომუნისტებმა ყრილობის დოკუმენტების გაცნობასთან დაკავშირებით წამოაყენეს.

ამხ. მამაკაშვილმა აღნიშნა, რომ ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტით გათვალისწინებულია ბევრი მთლიანლითონის, გორგოლაჭსაკისარაანი ვაგონის გამოშვება. ამერკავკასიაში კი მხოლოდ ერთი ვაგონშემკეთებელი ქარხანა არსებობს, რაც ვერ დაკმაყოფილებს რკინიგზის ტრანსპორტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ქარხნის კომუნისტებმა წინადადება წამოაყენეს ახალი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ იქნას ახალი ვაგონშემკეთებელი ქარხნის მშენებლობა, რომელიც აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნიკით.

ქარხანა „ჩარხის“ დირექტორმა ამხ. ბოკერიამ წინადადება შეიტანა გაერთიანდეს მოწყობილობის რემონტისა და აღდგენის ტრესტები, რომლებიც ამჟამად სხვადასხვა სამინისტროს ეკუთვნის. თბილისის საორთქლმავლო დეპოს უფროსმა ამხ. ოდილავაძემ წინადადება წამოაყენა ახალ ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ იქნას ამერკავკასიის რკინიგზის მთელი საორთქლმავლო პარკის გადაყვანა ავტოგადაბმაზე.

ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილემ ამხ. ლაცაბიძემ საჭიროდ მიიჩნია, რომ პარტიის წესდების პროექტში ცალკე გამოიყოს მუხლი კოლმეურნე კომუნისტების მიერ საწევრო ანარიცხების შეტანის შესახებ.

კონფერენციამ ერთსულოვნად მოიწონა პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტის პროექტი.

* * *

არჩეულ იქნა რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

კონფერენციის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა დიდი ბელადის შობლიური სტალინისადმი.

მისალმება გაეგზავნა სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხ. ლ. პ. ბერიას.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ამხ. ა. მგელაძემ და ამხ. ვ. ცხოვრებაშვილმა.

* * *

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. ტატიშვილი, მეორე მდივნად — ამხ. კ. გოგლიძე, მდივნად — ამხ. ტ. დავითაშვილი.

ორჯონიკიძის რაიონი

ორჯონიკიძის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში შეცდომების შედეგად გამოწვეული ნაკლოვანებებისა და ჩავარდნების აღმოსაფხვრელად. რაიონის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრება ახლა უფრო სისხლსავსე, მჩქეფარე ხდება. რაიონში განლაგებულ 7 უმაღლეს სასწავლებელსა და 15 სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად ამაღლდა იდეოლოგიური მუშაობის დონე, გაუმჯობესდა სტუდენტთა და ასპირანტთა სწავლების ხარისხი, კიდევ უფრო შემოქმედებითად წარიმართა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც ქართული კულტურის კერას წარმოადგენს, ფართოდ არის გაშლილი მეცნიერული და პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა. უნივერსიტეტმა წელს სამშობლოს მისცა 972 სხვადასხვა დარგის სპეციალისტი. ასევე დიდი შემოქმედებითი და სამეცნიერო მუშაობაა გაშლილი ბერიას სახელობის შრომის წოდების ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო, ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა, სახელმწიფო სამედიცინო და სხვა ინსტიტუტებში.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებისა, რაიონის უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. საკმაო ყურადღება არ ექცევა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა იდეოლოგიურ აღზრდას, ლექციების ხარისხსა და იდეურ დონეს. ფართოდ არ არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, ძირეულად გარდაქმნილი არ არის სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

შეეხო რა შემდეგ რაიონის საწარმოთა მუშაობის საკითხებს, მომხსენებელმა რაიკომის მდივანმა ამხ. ქ. კაპანაძემ აღნიშნა, რომ ერთგვარი წარმატებებია მოპოვებული რაიონის საწარმოების მიერ სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში. რაიონის საწარმოებმა მიმდინარე წლის 6 თვის გეგმა 107,7 პროცენტით შეასრულეს, ხოლო ივლისისა —101,6 პროცენტით. მაგრამ რაიონში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილი საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს. მათ რიცხვშია თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, რომელმაც მიმდინარე წლის 6 თვის დავალება მხოლოდ 88,2 პროცენტით შეასრულა.

ყოველივე ეს იმით არის გამოწვეული, რომ ამ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები ცუდად მუშაობენ, ვერ ახამებენ პარტიულ მუშაობას სამეურნეო საქმიანობასთან, პატივს არ სცემენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, არ იბრძვიან მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ხოლო პარტიის რაიკომი და მისი მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილება საჭირო დახმარებას არ უწევენ მათ.

ილაპარაკა რა პარტიაში მიღების საკითხებზე, მომხსენებელმა განაცხადა, რომ მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში არასერიოზულად ეკიდებიან პარტიის რიგებში მისაღებთა ინდივიდუალურ შერჩევას, მათი დოკუმენტების სწორად გაფორმებას, განცხადებათა დროულად განხილვას. ეს იმის შედეგიცაა, რომ რაიკომი და მისი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილება არა საკმაოდ ეხმარება პირველადს ორგანიზაციებს.

რაიონის მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას კრიტიკა და თვითკრიტიკა, არ ხდება მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება. რაიკომის ბიურომ საანგარიშო პერიოდში ორჯერ განიხილა პირველად პარტიულ ორგანიზაციებში მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება, მაგრამ რაიკომს არცერთხელ არ განუხილავს თავისი დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

მოხსენების გამო კამათში პირველი გამოვიდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ჭანუყვაძე. მან უსაყვედურა მომხსენებელს, რომ საანგარიშო მოხსენებაში გაბედულად არ იყო გამომჟღავნებული რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში არსებული ნაკლოვანებანი, ძალიან ცოტა იყო ნათქვამი იმაზე, თუ რა დახმარებას უწევს რაიკომი პირველადს პარტორგანიზაციებს, ამასთან იმის გამო, რომ მომხსენებელი მოერიდა ზემდგომი ორგანოების კრიტიკას.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ნ. გოგლიძემ განაცხადა, რომ ფაბრიკის პარტორგანიზაციაში სუსტად იდგა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. პარტორგანიზაცია ვერ ახორციელებდა ადმინისტრაციისადმი კონტროლს, ცუდად იყო დაყენებული პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების და უპარტიო აქტივთან მუშაობის საქმე. ამის პირდაპირი შედეგია ის, რომ მიმდინარე წლის 7 თვეში ფაბრიკამ ვერ შეასრულა ხარისხობრივი მაჩვენებლების გეგმა.

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტკომის მდივანმა ამხ. გ. დანელიამ კონფერენციის დელეგატების ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა მომზადების არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე.

რაიონის სამკურნალო დაწესებულებებში ი. პავლოვის მოძღვრების დანერგვასა და ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების გაუმჯობესების საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. მ. საკაშვილმა და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ი. კვესიტაძემ.

კომკავშირის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. გვერდწითელმა უსაყვედურა პარტიის რაიკომს, რომ იგი სათანადოდ არ ეხმარება კომკავშირს პოლიტგანათლების საქმის გაუმჯობესებაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ნ. კეცხოველმა ილაპარაკა უმაღლეს სასწავლებლებში იდეოლოგიური და სამეცნიერო მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე.

საანგარიშო მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო სულ 16 ამხანაგმა.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და სათანადო ღონისძიებები დასახა.

* * *

კონფერენციაზე მოეწყო XIX ყრილობის მასალების ფართოდ განხილვა.

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის შემდგომ განვითარებას. ამ საკითხის განხილვის გამო სიტყვით გამოსულმა საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის მმართველმა ამხ. შ. ჭანკოტაძემ ილაპარაკა იმაზე, თუ რა პასუხსაგები ამოცანები ეკისრებათ ახალი ხუთწლიანი გეგმის მიხედვით საქართველოს ენერგეტიკოსებს. საჭიროა ელექტროსადგურების მშენებლობის ტემპების გაძლიერება, ელექტროენერგიის გამომუშავების გადიდებისათვის საქართველოში არსებული ბუნებრივი პირობების უნარიანად გამოყენება.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ე. ღავთაძემ, ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. გ. ურუშაძემ და სხვა დელეგატებმა განაცხადეს, რომ რარკომმა უნდა გაუმჯობესოს პირველადი პარტორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, მხარი დაუჭიროს ყოველივე ახალს, მოწინავეს, რაც მიმართული იქნება ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისაკენ.

პარტიის შეცვლილი წესდების ტექსტს, მასში გათვალისწინებულ თვითეული კომუნისტის უფლება-მოვალეობას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები კონფერენციის დელეგატებმა: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პარტკომის მდივანმა ამხ. ვ. მეჩიტაშვილმა, საქართველოს შახტშენებლობის სამმართველოს პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ნ. ყველაშვილმა, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს პარტბიუროს მდივანმა ამხ. ბ. შიუკაშვილმა და სხვებმა. მათ აღნიშნეს, რომ რაიონის პარტორგანიზაციებში პარტიის წევრის უფლება-მოვალეობანი ხშირად ირღვევა. ამ საქმეს რაიკომმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

კონფერენციის დელეგატმა, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ვ. ჯალაღანიამ წინადადება შეიტანა, რომ პარტიის შეცვლილი წესდების პროექტს იქ, სადაც ლაპარაკია პარტიის წევრის მოვალეობაზე, ერთ-ერთ პუნქტად დაემატოს შემდეგი: პარტიის წევრი მოვალეა მაგალითის მიმცემი იყოს სოციალისტური თანაცხოვრების წესებისა დ კომუნისტური მორალის დაცვაში.

კონფერენციის დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის XIX ყრილობის დირექტივები საბჭოთა კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის ტექსტი.

* * *

კონფერენციამ აირჩია რაიკომისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

კონფერენციის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინისადმი.

მისალმება გაეგზავნა დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ამხ. ლ. პ. ბერიას.

* * *

შედგა რაიკომის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ქ. კაპანაძე, მეორე მდივნად — ამხ. შ. მახარაძე, მდივნად — ამხ. გ. კენჭაძე.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ახალი ნაბიჯია კომუნიზმის გზაზე

(აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა)

ფეიქართა კლუბში შედგა ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრება.

პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ნ. გოგლიძემ კომუნისტებს გააცნო საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს გადაწყვეტილება, რომელიც ყველა საოლქო კომიტეტს, სამხარეო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს ავალებს გაიაღონ ახალი ხუთწლედისა და პარტიის წესდების პროექტების ფართო განხილვა, ამასთან ეს საქმე დაიწყონ შეძლებისამებრ პირველადი ორგანიზაციებიდან. მან მოუწოდა კომუნისტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობის ისტორიული დოკუმენტების განხილვაში.

პარტიულმა კრებამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: განხილვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროექტისა „პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“.

დღის წესრიგში დასმულ საკითხზე სიტყვით გამოსულმა ფაბრიკის საქსოვი საამქროს ოსტატის თანაშემწემ ამხ. დ. ალიბეგაშვილმა განაცხადა, რომ იგი იწონებს დირექტივების პროექტს ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

— მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, — ამბობს ის, — ახალი ნაბიჯია კომუნიზმის გზაზე. ახალ ხუთწლიან გეგმაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის შემდგომი განვითარების საკითხებს. ჩვენს ფაბრიკაში ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. შეუწყნარებლად ჭიანურდება მთელ რიგ რაციონალიზატორულ წინადადებათა განხილვა და წარმოებაში დანერგვა. ნოვატორები აყენებენ ისეთ წინადადებებს, რომელთა განხორციელება მკვეთრად გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს და გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, მაგრამ ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ამხ. ვ. ჩიქოვანი ნაკლებად ზრუნავს ამ წინადადებათა განხორციელებისათვის.

— დიდი ხანია წარდგენილი მაქვს წინადადება, — განაგრძობს ამხ. ალიბეგაშვილი, — რომელიც ითვალისწინებს საქსოვი დაზგების გამაფრთხილებელი რემონტის შესრულებას ოსტატის თანაშემწის მიერ ნაცვლად სარემონტო ბრიგადისა. ამ წინადადების სარგებლიანობა ყველასათვის ცხადია, მაგრამ ფაბრიკის ხელმძღვანელობა მით დღემდე არ დაინტერესებულა.

ამხ. ალიბეგაშვილი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს მტკიცედ მოჰკიდონ ხელი ნოვატორთა გამოცდილებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა წარმოებაში დანერგვის საქმეს.

თავის გამოსვლაში ინჟინერმა ლ. პლოტნიკოვამ აღნიშნა, რომ იწონებს დირექტივების პროექტს და აყენებს მთელ რიგ წინადადებებს. კერძოდ, იგი მოითხოვს სწორად და დროზე ხდებოდეს ფაბრიკისათვის, საამქროებისა და ბრიგადებისათვის გეგმების შემუშავება და მათი თვითეული მუშისათვის გაცნობა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, — აცხადებს იგი, — საწარმოო დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

— მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმა, — თქვა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მ. ზვიადაძემ, — კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამაა. იგი უზრუნველყოფს მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომ ზრდას. ახალი ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას. ჩვენთან კი ხშირად შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. არ ხდებოდა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება. ჩვენი ვალია სერიოზულად მოვკიდოთ ხელი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებაში არსებულ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებას.

— ჩვენ, რიგითი კომუნისტები, — ამბობს სამღებრო-გამომყვანი საამქროს ოსტატის თანაშემწე ამხ. ვ. გუგეშაშვილი, — გულდასმით ვსწავლობთ და ვიხილავთ პარტიის XIX ყრილობის მასალებს. სავსებით ვიწონებ დირექტივების პროექტს ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ და პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად ვკისრულობ, რომ ჩვენი ბრიგადა ვადამდე შეასრულებს 9 თვის გეგმას.

პარტიულ კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე კომუნისტები მ. მერაბიშვილი და ს. მჟავანაძე. დირექტივების პროექტის განხილვის შემდეგ პარტიულმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ერთსულოვნად იწონებს პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. კრებამ პარტბიუროს დაავალა აგიტატორებისა და პროპაგანდისტების საშუალებით ფართოდ გააცნოს და შეასწავლოს ფაბრიკის მშრომელებს დირექტივების პროექტი მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ფართოდ გაჩაღოს პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება ახალ საწარმოო წარმატებათა მოსაპოვებლად.

მაღალი პოლიტიკური აქტივობით

(ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა)

კომუნისტთა მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩაიარა ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაციის კრებამ, რომელმაც განიხილა პარტიის XIX ყრილობის დირექტივების პროექტი სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. კრებაზე სიტყვებით გამოსული კომუნისტები აღნიშნავდნენ, რომ ახალი ხუთწლედი დიდ პერსპექტივებს სახავს ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

— ახალი ხუთწლიანი გეგმით, — თქვა ქარხნის დირექტორმა ამხ. გ. ბერძენიშვილმა,—გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდა. კერძოდ დიდი ყურადღება ექცევა ყურძნისა და ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობის ამაღლებას. ახალ ხუთწლედში ყურძნის მოსავლიანობა დიდდება 55-60 პროცენტით, ხოლო ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლისა — დაახლოებით 75 პროცენტით. ჩვენი ქარხანა კი ძირითადად ყურძნისა და ჩაის ფოთლის გადამმუშავებელ მანქანებს უშვებს. ეს გვავალებს კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ და გავადიდოთ ამ სახის მანქანების გამოშვება, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ ახალი ხუთწლედის წარმატებით შესრულებაში.

სტახანოველი ხარატი ამხ. ა. ვოლკოვი მოითხოვს ფართოდ გავრცელდეს საწარმოში ჩქაროსან ხარატთა მოწინავე გამოცდილება. დასასრულ იგი ამბობს:

— მე მხურვალედ ვიწონებ დირექტივების პროექტს მეხუთე სტალინური ხუთწლედის შესახებ და პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად ვკისრულობ ყოველდღიური საწარმოო დავალება შევასრულო 200 პროცენტით.

სიტყვით გამოსულმა სამსხმელო საამქროს უფროსმა ამხ. ს. მაჩაიძემ თქვა:

— ჩვენი საამქროს კოლექტივი დიდი ინტერესით გაეცნო ლენინ-სტალინის პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ დოკუმენტებს და ერთსულოვნად გადაწყვიტა დადგეს სტახანოვურ ვახტზე. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის მოწოდების პასუხად ჩვენი ქარხანაც ჩაება პარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა გადიდებული ვალდებულებანი. სამსხმელო საამქროს კოლექტივი თავდადებით მუშაობს ამ ვალდებულებათა ღირსეულად შესრულებისათვის.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე კომუნისტები ამხ. ვ. პოპრავკინი, ი. სალმანი და სხვები, რომლებმაც განაცხადეს, რომ სავსებით იწონებენ დირექტივების პროექტს. მათ ახალი ხუთწლედის წარმატებით განხორციელებისათვის მთელი რიგი საქმიანი წინადადებანი წამოაყენეს.

პარტიულმა კრებამ ერთსულოვნად მოიწონა პროექტი დირექტივებისა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საბჭოთა პროფკავშირების დახმარება

ანდხრას პროვინციის დამშეული მოსახლეობისადმი

ანდხრას პროვინციაში დამშეულთა დამხმარე გაერთიანებული კომიტეტის მიმართვა

ანდხრას პროვინციაში (ინდოეთი) დამშეულთა დამხმარე გაერთიანებულმა კომიტეტმა, რომელიც სათავეში უდგანან თავმჯდომარე ტანგუტური პრაკასამი და გენერალური მდივანი კრიშნა რაო, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვს შემდეგი წერილით მიმართა:

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს

ს.ს.რ კავშირი, მოსკოვი.

ძვირფასო მეგობარო!

ჩვენ გვსურს გაცნობოთ მდგომარეობა ანდხრას პროვინციაში, რომელიც იტანჯება საშინელი შიმშილით, და მოგიწოდებთ თქვენ და თქვენი მეშვეობით სხვადასხვა ეროვნულ ორგანიზაციას აღმოუჩინოთ ამ კომიტეტს დახმარება ფულით, რასაც ჩვენ გამოვიყენებდით ბრინჯის, სასყიდლად, აგრეთვე სურსათით: რძით, კონსერვებით და სხვ.

გიგზავნით ცნობას დამშეულთა დახმარების გაწევის საქმეში დღემდე ჩვენ მიერ შესრულებული მუშაობის შესახებ.

ვამთავრებთ რა წერილს მოგიწოდებთ სახსრები გამოუგზავნოთ ამ კომიტეტს, რათა შეგვეძლოს მოვაწყოთ უფასო კვების დამატებითი სასადილოები და სამედიცინო პუნქტები.

იმედი გვაქვს ახლო მომავალში მივიღებთ თქვენს დადებით პასუხს. მადლობითა და ძმური სალამით

კრიშნა რაო,
გენერალური მდივანი.

საკავშირო პროფსაბჭომ ანდხრას პროვინციაში დამშეულთა დამხმარე გაერთიანებული კომიტეტის დეპეშაზე შემდეგი დეპეშით უპასუხა:

ანდხრას პროვინციის დამშეულთა დამხმარე გაერთიანებული კომიტეტის გენერალურ მდივანს კრიშნა რაოს

ინდოეთი

ს.ს.რ კავშირის პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ მიიღო თქვენი წერილი თხოვნით ანდხრას პროვინციის დამშეული მოსახლეობისადმი სასურსათო დახმარების გაწევის შესახებ.

საბჭოთა პროფკავშირები საბჭოთა კავშირის მეშუბისა და ყველა მშრომელის სახელით დიდ თანაგრძნობას უცხადებენ ანდხრას პროვინციისა და მადრასის შტატის რაიონების მშრომელებს დიდ უბედურებაში, რაც მათ ეწიათ, და დამშეული მოსახლეობის დამხმარე გაერთიანებული კომიტეტის განკარგულებაში გზავნიან: 10 ათას ტონა ხორბალს, 5 ათას ტონა ბრინჯს, 500 ათას ქილა შესქმელებულ რძეს. გარდა ამისა, საბჭოთა პროფკავშირებმა დამშეულთა დასახმარებლად გამოჰყვეს 250 ათასი ინდური რუპია.

საბჭოთა კავშირის მშრომელები გულწრფელად უსურვებენ გაერთიანებულ კომიტეტსა და ინდოეთის ყველა მშრომელს წარმატებას შიმშილთან ბრძოლისა და იმ დიდი უბედურებისაგან მილიონობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვის ბრძოლის ლონისძიებათა განხორციელებაში, რაც ინდხრას პროვინციას და სხვა რაიონებს ეწიათ.

პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭო
ვ. კუზნეცოვი

გერმანიის კომუნისტური პარტიის ფრაქცია ბონის პარლამენტში

წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ბონის ფედერალური პარლამენტი, რათა განიხილოს საბჭოთა ნოტა საბჭოთა გერმანიის საქმეთა შესახებ

ბერლინი, 30 აგვისტო. (საკდესი). ბონის პარლამენტის კომუნისტურმა ფრაქციამ გუშინ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციასა და ფედერალისტური კავშირის ფრაქციას გაუგზავნა იდენტური წერილები, რომლებითაც წინადადებას იძლევა, რომ მათ გერმანიის კომუნისტურ პარტიასთან ერთად მოითხოვონ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას ბონის ფედერალური პარლამენტი, რათა განიხილოს საბჭოთა ნოტა დასავლეთის სამი სახელმწიფოსადმი.

წერილში მოთხოვნილია, რომ ფედერალურმა პარლამენტმა ამავე დროს განიხილოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება საბჭოთა მთავრობის ნოტის შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატაში

ბერლინი, 31 აგვისტო. (საკდესი). ადნ-ის საგენტო გადმოგვცემს:

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმმა 29 აგვისტოს სხდომაზე დაადგინა — მიღებულ იქნას მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია და პალატის სხდომაზე გამოითქვას დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის წინადადებისადმი საყოველთაო თავისუფალი არჩევნების მოწყობისათვის პირობების ირსებობის შესამოწმებლად თვით გერმანელთაგან კომისიის შექმნის შესახებ.

პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თანახმად სახალხო პალატა 1952 წლის 5 სექტემბერს შეიკრიბება 25-ე სხდომაზე.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა მოითხოვს

მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს თათბირი გერმანიის საკითხზე

ბერლინი, 31 აგვისტო. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა მხურვალედ მიესალმება საბჭოთა მთავრობის ახალ ნოტას დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებისადმი გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების შესახებ და მოითხოვს რაც შეიძლება მალე მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს თათბირი გერმანიის პრობლემის მშვიდობიანად გადაჭრის შესახებ.

ლაიფციგში კარლ მარქსის მოედანზე გაიმართა გრანდიოზული მიტინგი ქალაქის 200 ათასზე მეტი მცხოვრების მონაწილეობით. მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს — დაუყოვნებლივ დაიწყოს ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკება გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და მთელი საოკუპაციო ჯარების გაყვანის შესახებ საბჭოთა მთავრობის წინადადების შესაბამისად.

ლეიფციგი „ბონის სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ, გერმანიის საკითხის მშვიდობიანად გადაჭრის შესახებ ოთხი სახელმწიფოს დაუყოვნებლივი მოლაპარაკებისათვის“ გაიმართა ხემნიცის მცხოვრებთა მიტინგი, რომელსაც 90 ათასი კაცი დაესწრო.

როსტოკში გაიმართა მიტინგი 20 ათასი მოქალაქის მონაწილეობით. მიტინგს ქალაქ გერაში დაესწრო 10 ათასი კაცი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა ყველგან აცხადებს პროტესტს ბონის სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ და მოითხოვს, რაც შეიძლება მალე დაიდოს საზავო ხელშეკრულება ერთიან გერმანიასთან.

ამერიკის შეერთებული შტატები ემზადებიან ბაქტერიოლოგიური იარაღის უარსოდ გამოყენებისათვის

ბერლინი, 31 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ გამოაქვეყნა მაინციდან მიღებული ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ვაიპერსპოფში (პფალცი) ამერიკელთა ხელისუფლებამ შექმნეს ქიმიურ-ბიოლოგიური „სასწავლებელი“ ბაქტერიოლოგიური ომის წარმოებისათვის კადრების მოსამზადებლად. ამერიკელი იმპერიალისტების ახალმა დანაშაულებრივმა მოქმედებამ ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია.

ქალაქ ალეციში (ჰესენის მხარე) გაიმართა საპროტესტო მიტინგი, სადაც აღინიშნა, რომ ამერიკელთა მოკუპირებელი არმიის 2.200 ოფიცერსა და ჯარისკაცს უკანასკნელი წლის განმავლობაში ასწავლიან ბაქტერიოლოგიური ომის წარმოებას.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მოითხოვეს დაუყოვნებლივ დაიხუროს ქიმიურ-ბიოლოგიური ცენტრი ვაიპერსპოფში და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბაქტერიოლოგიური იარაღი, როგორც კორეის ამბები გვიჩვენებენ, პირველ რიგში მიმართული იქნება უიარაღო ქალებისა და ბავშვების წინააღმდეგ. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ადგება დღე, როცა ადენაუერის მთავრობა, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა ამ დანაშაულებრივი მოქმედებისათვის ბონის სამხედრო ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით, წარდგება ხალხის სამსჯავროს წინაშე.

ირანის ნავთის ნაციონალიზაციის საკითხისათვის

ინგლის-ამერიკის ახალი ზეგავლენა ირანის მთავრობაზე

ლონდონი, 30 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ვაშინგტონიდან გამოგზავნილ ცნობას, რომლის თანახმად დღეს შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა წარადგინეს იმ დავის ეგრეთწოდებული მოწესრიგების გეგმა, რომელიც წარმოშვა ირანის მთავრობის გადაწყვეტილების გამო ირანის ნავთის მრეწველობისა და ნავთის საბადოების ნაციონალიზაციის შესახებ.

წინადადება გაკეთებულ იქნა ირანის პრემიერ-მინისტრ მოსადიკისადმი პრეზიდენტ ტრუმენისა და პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის პირადი მიმართვის ფორმით.

სააგენტოს ცნობით, „გეგმა“ მოსადიკს გადასცეს ინგლისისა და ამერიკის წარმომადგენლებმა თეირანში 30 აგვისტოს. ეს „გეგმა“ ითვალისწინებს იმას, რომ საკითხი ინგლის-ირანის ყოფილი ნავთის კომპანიის კომპენსაციებისა ირანში 18 თვის წინათ ნაციონალიზებული მისი საკუთრებისათვის განსახილველად გადაეცეს საერთაშორისო სასამართლოს; ირანის მთავრობამ და ინგლის-ირანის ყოფილმა ნავთის კომპანიამ დანიშნონ „შესაფერისი წარმომადგენლები“ „მსოფლიო ბაზარზე ირანიდან ნავთის შეტანის განსაზღვლად ღონისძიებათა განხორციელებაზე“ მოლაპარაკებისათვის

თუ ირანის მთავრობა მიიღებს აღნიშნულ პუნქტებს, მაშინ ტრუმენისა და ჩერჩილის „გეგმის“ თანახმად ა) ინგლის-ირანის ყოფილი ნავთის კომპანია „ირანში არსებული ნავთის მარაგიდან დაუყოვნებლივ გასაყიდად გათავისუფლებს 20-30 მილიონი დოლარის ნავთს“, ბ) ინგლისი შეანელებს ირანში ექსპორტისა და ირანის მიერ ინგლისის სტერლინგის ვალუტის გამოყენების შეზღუდვას და გ) შეერთებული შტატები „დაუყოვნებლივ მისცემენ ირანის მთავრობას 10 მილიონ დოლარს, რათა ხელი შეუწყონ ბიუჯეტის პრობლემის გადაჭრას“.

ამრიგად, რეიტერის სააგენტოს ცნობიდან ცხადი ხდება, რომ ინგლის-ამერიკის წინადადების მიზანია ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხი ირანის საშინაო პოლიტიკის სფეროდან გადაიტანოს საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში, და იგი წარმოადგინოს ახალ ჩარევას ირანის საშინაო საქმეებში.

ლონდონი, 30 აგვისტო. (საკდესი). ლონდონის რადიომ დაიმოწმა თეირანის რადიო და გადასცა, რომ ირანის პრემიერ-მინისტრმა მოსადიკმა ინგლისის საქმეთა რწმუნებულს და ამერიკის ელჩს აცნობა, რომ ჩერჩილისა და ტრუმენის წინადადება „ირანელ ხალხზე კარგ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს“. ირანის მთავრობის აზრით, ეს წინადადება მიუღებელია. მიუხედავად ამისა, პარლამენტის კომისია განიხილავს ინგლის-ამერიკის ნოტას.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 30 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 30 აგვისტოს ცნობაში ნათქვამია:

სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ.

ღღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა მტრის სამი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ფხენიანი, 31 აგვისტო. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობით, 31 აგვისტოს სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან თანამოქმედებით თავდაცვითს ბრძოლებს განაგრძობდნენ.

იაპონიის პოლიციის სარეზერვო კორპუსის მონაწილეობა კორეის ომში

ფხენიანი, 30 აგვისტო. (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა საგენტო იაპონიიდან მიღებულ ცნობაზე დაყრდნობით იუწყება, იაპონიის პოლიციის სარეზერვო კორპუსის 1.000 მოსამსახურე გაიგზავნა კორეის ფრონტზე.

ეს ათასი კაცი იაპონიის პოლიციის სარეზერვო კორპუსისათვის, ნათქვამია კორეის ცენტრალურ დეპეშათა საგენტოს ცნობაში, შეგროვებულ იქნა გუმის, ნაგასნისა და ციბას პრეფექტურებში. მათ ყველამ გაიარა სამსახური პოლიციის სარეზერვო კორპუსის ბანაკში, რომელიც გუმის პრეფექტურის საგამოგზავნარაში იმყოფება. ისინი კორეის ფრონტზე გაგზავნეს 20 ივლისს 15 ამერიკელი ოფიცრის, ლისინმანელთა არმიის 150 სერჟანტისა და ამერიკელთა არმიის 99 სერჟანტის მეთაურობით. ეს რაზმი თავიდანვე შეიქმნა კორეის ფრონტზე გასაგზავნად და მიმდინარე წლის მარტიდან მთელმა პირადმა შემადგენლობამ შეიისწავლა ამერიკული იარაღის ხმარება. რაზმის წევრები სწავლობდნენ პისტოლეტისა და რეაქტიული თოფის „ბაზუკის“ სროლას, სწავლობდნენ ტანკების მართვასაც. სასტიკად იყო აკრძალული ბანაკიდან გასვლა და ნათესავებთან და ნაცნობებთან მიმოწერა. რაზმის ყოველ წევრს ასწავლიდა სპეციალურად მიმაგრებული ამერიკელი ჯარისკაცი ან ოფიცერი. ცდილობდნენ რა დაეინტერესებინათ რაზმის წევრები კორეის ომით, ამერიკელი სამხედრო მოსამსახურენი აგიტაციას უწევდნენ რაზმის წევრებს ბეჯითობა გამოეჩინათ და ჰპირდებოდნენ, რომ ორი თვის შემდეგ მათ 60 ათასი იენი მიეცემოდათ თვითეულს და კორეიდან იაპონიაში დაბრუნების შემდეგ მათ შეეძლებოდათ თავისუფლად დემობილიზებულიყვნენ. ამ დაპირებებთან ერთად ამერიკელები ემუქრებოდნენ მათ და უცხადებდნენ, თუ რომელიმე შეეცდება იდეზერტიროს, მას უთუოდ დახვრეტენო.

კორეის ფრონტზე იაპონიის პოლიციელთა გაგზავნის ფაქტი დაადასტურა რაზმის ერთ-ერთმა წევრმა, რომელმაც მოახერხა გადაელახა ამერიკელთა ჯარების დაცვის ხაზი და მიეღწია საგამგზავრამდე. ამავე დროს პოლიციის სარეზერვო რაზმის ერთ-ერთი ჯარისკაცის მამამ, რომელიც გუმის პრეფექტურის სოფელში ცხოვრობს, განაცხადა, რომ მან მიიღო ცნობა შვილისაგან, რომ პოლიციის სარეზერვო რაზმი საგამგზავრიდან კორეის ფრონტზე გაიგზავნა.

კორეის ფრონტზე რაზმის გაგზავნის ცნობამ აღშფოთება გამოიწვია საგამგზავარის მცხოვრებთა შორის. მოსახლეობაში გავრცელდა 100 ათასზე მეტი ფურცელი, რომლებშიც ლაპარაკია კორეის ფრონტზე საგამგზავარის პოლიციის სარეზერვო რაზმის გაგზავნის შესახებ. ბევრ ქალაქსა და სოფელში საპროტესტო კრებები გაიმართა კორეის ფრონტზე პოლიციის სარეზერვო კორპუსის რაზმის გაგზავნის წინააღმდეგ.

ვიეტნამელ პატრიოტთა მოქმედება

ლონდონი, 1 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, გუშინ დილით ვიეტნამელმა პარტიზანებმა აიფეთქეს ფრანგთა საწვავი მასალების სამხედრო საწყობი საიგონის გარეუბანში.

პირველმა აფეთქებამ, ნათქვამია ცნობაში, შეაზანზარა ქალაქი დილის ოთხი საათის შემდეგ ადგილობრივი დროით. საწყობი მთელ დილას იწვოდა. შავი კვამლის უდიდესი ბოლქვები ადიოდა ჰაერში ათას ფუტ სიმაღლეზე. ფრანგი ხელისუფალნი საწყობის მოსპობას პარტიზანთა „მნიშვნელოვან წარმატებას“ უწოდებენ.

X საჭადრაკო ოლიმპიადაზე

საბჭოთა კავშირის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონია ჰავანაში

ჰელსინკი, 30 აგვისტო. (საკდესი). ღღეს უკანასკნელ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და შვეიცის გუნდები შემდეგი შემადგენლობით: სმისლოვ-შტალბერგი, შტოლც-ბრონშტეინი, გელერ-ლუნდინი და სკელდ-ბოლესლავსკი.

პირველ დაფაზე გროსმაისტერმა სმისლოვმა ფრანგულ დაცვაში შტალბერგის წინააღმდეგ მიიღო რამდენადმე უკეთესი თამაში. შვეიცის გროსმაისტერი ენერგიულად იცავდა თავს და ცდილობდა გაცვლის საშუალებით გაემარტივებინა თამაში და შეესუსტებინა საბჭოთა გროსმაისტერის იერიში. ეს პარტია ყაიმით დამთავრდა. ოსტატმა შტოლცმა სიცილიური დაცვის პასუხად, რომელიც გროსმაისტერმა ბრონშტეინმა აირჩია, გამოიყენა ისეთი ვარიანტი, რომელიც აშკარად გვხვდება სატურნირო პრაქტიკაში, მაგრამ რომელიც კარგად არის დამუშავებული შვეიცის ოსტატთა მიერ. მაგრამ ამ მოულოდნელობას საბჭოთა გროსმაისტერი მოუმზადებელი არ შეხვედრია. დებიუტში ბრონშტეინმა არა მარტო გაათანაბრა შანსები, არამედ უფრო პერსპექტიული თამაშიც მიიღო. შუა პარტიაში გროსმაისტერმა ბრონშტეინმა, გამოიყენა რა თეთრი პაიკის სისუსტე ცენტრში, გახსნა ვერტიკალი მეფის ფლანგზე და ლაზიერების გაცვლის შემდეგ უკეთესი ენდშპილი მიიღო. მისი ტელი შეიჭრა მეორე ჰორიზონტალში, ხოლო თეთრი მეფე საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდა. შტოლცმა დაკარგა პაიკი. შვეიცის ოსტატის ცდა—გამოიყენებინა მეფე კონტრთამაშის შესაჭმენელად — მისთვის მეტად სამწუხაროდ დამთავრდა. ბრონშტეინმა საინტერესო მანევრით აიძულა შტოლცი დანებებულიყო.

გროსმაისტერმა ბოლესლავსკის საუცხოოდ გაითამაშა დებიუტი სკელდთან პარტიაში და პაიკის ენერგიული გაჭრით ცენტრში მალე მიაღწია უკეთეს პოზიციას. შემდეგ საბჭოთა გროსმაისტერმა მნიშვნელოვნად შეასუსტა თეთრი უჯრედები მოწინააღმდეგის ბანაკში და ფიგურებით დაიკავა მთელი რიგი მნიშვნელოვანი პუნქტები. ბოლესლავსკის პოზიციური იერიში ყოველი სვლით მატულობდა და მან მალე მიიგო ხარისხი. პარტიის დასკვნითი სტადიაა საბჭოთა გროსმაისტერმა ჩვეულებრივ მეტად ზუსტად ითამაშა და გამარჯვებას მიაღწია. ხუთი საათის თამაშის შემდეგ რთულ მდგომარეობაში გადაიდო გელერ-ლუნდინის პარტია.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის გუნდმა მოუგო შვეიცის გუნდს და უზრუნველყო თავისთვის პირველი ადგილი და მსოფლიოს ჩემპიონის წოდება ჰავანაში.

ახლა წამყვანი გუნდების მდგომარეობა შემდეგნაირია:

ს.ს.რ კავშირს აქვს $20^1/_2$ ქულა და ერთი გადადებული პარტია,

არგენტინას—$18^1/_2$ ქულა და ერთი გადადებული პარტია,

იუგოსლავიას — 17 ქულა და 3 გადადებული პარტია,

ჩეხოსლოვაკიას—$17^1/_2$ ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ჰელსინკი, 30 აგვისტო. (საკდესი). დამთავრდა საბჭოთა კავშირ-შვეიცის შეხვედრის უკანასკნელი პარტია. გროსმაისტერმა გელერმა ყაიმით დაამთავრა პარტია ლუნდინთან. ამრიგად, საბჭოთა კავშირის გუნდის დღეკანდელი შეხვედრა შვეიცის გუნდთან დამთავრდა საბჭოთა მოჭადრაკეების გამარჯვებით ანგარიშით 3:1. სულ საბჭოთა გუნდმა დააგროვა 21 ქულა.

ანგარიშით 3:1 დამთავრდა აგრეთვე არგენტინის გუნდის შეხვედრა უნგრეთის გუნდთან არგენტინის გუნდის სასარგებლოდ.

ჰელსინკი, 31 აგვისტო. (საკდესი). უკანასკნელი ტურის გადადებული პარტიების გათამაშებამ გამოარკვია ჯადრაკში გუნდური მსოფლიო პირველობის საბოლოო შედეგები.

პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა **საბჭოთა კავშირის** გუნდმა, რომელმაც 21 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილი დაიკავა არგენტინამ—$19^1/_2$ ქულა, მე-3 ადგილი —იუგოსლავიამ—19, მე-4—ჩეხოსლოვაკიამ—18, მე-5 —ამერიკის შეერთებულმა შტატებმა—17, მე-6—უნგრეთმა—16, მე-7—შვეიცამ—13, მე-8—დასავლეთმა გერმანიამ—$10^1/_2$, მე-9—ფინეთმა — 10.

დამატებითმა ტურნირებმა გამოარკვია დანარჩენი ადგილები—მე-10 ადგილი დაიკავა ჰოლანდიამ, მე-11—ისრაელმა, მე-12—ბოლონეთმა, მე-13—გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, მე-14 —დანიამ, მე-15—კუბამ, მე-16—ინგლისმა, მე-17—ავსტრიამ, მე-18—იტალიამ, მე-19 —ბრაზილიამ, მე-20—საბერძნეთმა, 21-ე—ნორვეგიამ, 22-ე—შვეიცარიამ, 23-ე — ისლანდიამ, 24-ე — საარმა, 25-ე—ლუქსემბურგმა.

ღღეს ჰელსინკის მუნიციპალიტეტის შენობაში მოხდა საჭადრაკო ოლიმპიადის ოფიციალური დახურვა.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა ბ-ნმა როგორდმა რუსულ ენაზე გამოაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის გუნდი შეჯიბრების შედეგების საფუძველზე მსოფლიო ჩემპიონად ცხადდება. ტაშის გრიალში საბჭოთა გუნდის კაპიტანს გროსმაისტერ კოტოვს გადაეცა გარდამავალი თასი. გუნდს ექვსსავე მონაწილეს გადაეცა ოქროს მედლები. ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის ჰიმნს.

არგენტინელი მოჭადრაკეები დაჯილდოეს ვერცხლის, ხოლო იუგოსლავიის მოჭადრაკეები — ბრინჯაოს მედლებით.

ტურნირის მთავარმა განმკარგულებელმა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ბ-ნმა ილმაკუნასმა აგრეთვე გადასცა საბჭოთა გუნდს ქალაქ ჰელსინკის თასი, მიმართა რა მას რუსულ ენაზე: „პატივი მაქვს საბჭოთა გუნდის ბრწყინვალე გამარჯვების ნიშნად გადმოგცეთ ქალაქ ჰელსინკის თასი. X ოლიმპიადაში გამარჯვებულად ჩვენ ვხედავთ წარმომადგენლებს საბჭოთა საჭადრაკო სკოლისას, რომელსაც უცვლელი წარმატება ჰქონდა ყველა შეჯიბრებაში მსოფლიოს პირველობაზე. მაგრამ ყველა თქვენს გამარჯვებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია გამარჯვება X საჭადრაკო ოლიმპიადაზე. ნება მიბოძეთ ვუსურვო საბჭოთა მოჭადრაკეებს შემდგომი წარმატებანი საჭადრაკო კულტურის განვითარებაში“.

საპასუხო სიტყვა საბჭოთა საჭადრაკო დელეგაციის სახელით წარმოთქვა დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. დ. ვ. პოსტნიკოვმა.

ოფიციალური ნაწილის შემდეგ გაიმართა ბანკეტი.

ჰოვდივში გაიხსნა მე-15 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა

ჰოვდივი, 31 აგვისტო. (საკდესი). ღღეს აქ გაიხსნა მე-15 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა. 10 საათზე მოედანზე გამოფენის მთავარ შესასვლელთან, რომელიც მორთულია ი. ბ. სტალინის, გიორგი დიმიტროვისა და ვილკო ჩერვენკოვის პორტრეტებით, შეიკრიბა ქალაქ პლოვდივის ათასობით მშრომელი. ტრიბუნაზე ადიან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები რაიკო დამიანოვი, ანტონ იუგოვი, ივანე მიხაილოვი, მინისტრები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის ელჩი ბულგარეთში მ. ფ. ბოდროვი.

ბულგარეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე ცვიატკო ბანჩევი სიტყვას აძლევს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს რაიკო დამიანოვს.

რაიკო დამიანოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა ამ გამოფენა-ბაზრობის დიდი მნიშვნელობა. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს გამოფენა-ბაზრობა დამთავრდება თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და ურთიერთსარგებლობის ბაზაზე საბჭოთა-დემოკრატიული და კაპიტალისტური ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოების ნიშნით.

რაიკო დამიანოვი ჭრის ლენტს გამოფენის მთავარ შესასვლელთან. გამოფენა გახსნილია. მრავალი სტუმარი შედის ბულგარეთის, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების პავილიონებში, აგრეთვე იმ პავილიონებში, სადაც გამოფენილია ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ავსტრიის, დასავლეთ გერმანიის, ჰოლანდიისა და სხვა ქვეყნების ასზე მეტი სამრეწველო და სავაჭრო ფირმის პროდუქცია.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საბჭოთა პავილიონმა, რომელსაც 5.400 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია. საბჭოთა მრეწველობა პლოვდივის მე-15 საერთაშორისო გამოფენა-ბაზარზე წარმოდგენილია ათასობით ექსპონატით, მათ შორის მძიმე და ზუსტი მანქანათმშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მძიმე და მსუბუქი ინდუსტრიის, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, კვების მრეწველობისა და სხვ. ნიმუშებით.

განსაკუთრებით უხვად არის წარმოდგენილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის მანქანათმშენებელი და მძიმე მრეწველობა, რაც ამ ქვეყნების ბრწყინვალე წარმატებათა ახალი დამამტკიცებელი საბუთია.

ფასების შემცირება უნგრეთში

ბუდაპეშტი, 31 აგვისტო. (საკდესი). როგორც საშინაო ვაჭრობის სამინისტრო იუწყება, 1 სექტემბრიდან უნგრეთში მცირდება ფუნთუშების ფასი, აგრეთვე ვერმიშელისა და მაკარონის სხვა ნაწარმის ფასი 18-30 პროცენტით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პირველ კურსზე ჩარიცხულ ერთა ხელმოწერა

საინფორმაციო ფაკულტეტი

ლ. ბ. ამირჯანოვი, ა. ბ. ბაბაიანი, ნ. ბ. ბარაბაჯანი, ე. ა. ბოლქვაძე, მ. ბ. ბუღაგი, ნ. ბ. ბარათაშვილი, ე. ი. გოგიტიძე, ქ. ს. გიგიტაშვილი, ნ. ი. ინარიძე, კ. გ. თოიძე, ზ. გ. კიკალიძე, ჯ. ი. კოჩაძე, ლ. ს. კონიაშვილი, ლ. ბ. კილაძე, კ. ბ. კესაევა, ლ. ა. კუპრაშვილი, ნ. გ. ლატარია, ლ. გ. ლალიძე, ქ. ა. მაჭარაშვილი, მ. ნ. მიქაძე, გ. ი. მუშკუდიანი, კ. ს. მანანია, თ. ვ. მაღრაძე, ო. ი. მელითაური, ო. გ. მღებრიშვილი, ვ. ს. მკედლიშვილი, ზ. ვ. ორკონიკიძე, ნ. ხ. რამიშვილი, მ. რ. რამაზოვი, ა. რ. როზვანოვი, ა. მ. სიდამონიძე, ტ. ვ. სეფისკვერაძე, ც. მ. ტოგონიძე, ლ. ა. უგრეხელიძე, ბ. ვ. ფოჩხაძე, დ. ნ. ქელეშაევი, ე. გ. ყიფიანი, მ. ლ. შირავა, ც. ნ. ჩოფიკაშვილი, გ. ა. ცომაია, ნ. ა. ჭანტერია, გ. ო. ჭუმბურიძე, მ. ვ. ჭოლაძე, ც. ვ. ჭადაშვილი, ე. გ. ხორავა, ნ. ს. ხეჩუმოვი, ც. ნ. ხაჩიძე, თ. ვ. ხვედელიძე, ვ. ს. ჯაფარიძე, ლ. ს. ჯაფარიძე.

სტომატოლოგიური ფაკულტეტი

ლ. ლ. აბოიანი, ც. მ. ახალაია, ნ. ჰ. ბერიძე, ქ. ი. ბოლქვაძე, გ. ნ. ბუჩუკური, ტ. ი. ვიცა, ნ. შ. ლოხოშვილი, გ. ს. მწარიაშვილი, ლ. შ. მანჯგალაძე, ა. მ. მახაკაძე, ლ. ბ. მუსერიძე, ო. ვ. მახარაშვილი, მ. ნ. მეგრელიშვილი, თ. ი. ოდიშვილი, მ. ე. სარჯველაძე, ს. გ. სირბილაძე, მ. შ. რაზმაძე, ც. ვ. რაზმაძე, ს. გ. რონინშვილი, ნ. ლ. ხაჩიძე, ნ. გ. ხიდერელი, თ. ფ. ქართველიშვილი, ო. ა. ჩალაბაევი, ზ. ა. ჩოფიკაშვილი, გ. ვ. ჩუბინიძე.

ფარმაცევტიული ფაკულტეტი

ი. რ. ბარბაქაძე, ვ. გ. ბაჩილავა, ზ. შ. ბოლქვაძე, ც. მ. ბოლქვაძე, ვ. ნ. გელაშვილი, ზ. ი. დუკაშვილი, უ. ვ. ენუქიძე, გ. ი. ეფრემიძე, მ. მ. იაროვა, ნ. ვ. იანტებლიძე, დ. ვ. კოროშენაძე, ქ. ა. ლოსაბერიძე, ლ. ქ. მამალაძე, ე. მ. მირიანაშვილი, ნ. შ. მარდალეშვილი, დ. დ. ნინუა, ო. დ ნებულიშვილი, ი. რ. რაგიმოვი, ნ. კ. სამყურაშვილი, ჯ. ი. სვანიძე, ო. ბ. ფარსადანოვი, ნ. ა. ფირცხალაიშვილი, ზ. ნ. ხარშილაძე, ლ. ს. ხოლუაშვილი, გ. მ. ყაველაშვილი.

საქართველოს პირველობა ველოსპორტში

დამთავრდა შეჯიბრება საგზატკეცილო ველორბოლასა და კროსში საქართველოს 1952 წლის პირად-გუნდური პირველობისათვის.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისის ოლქის პირველი გუნდის წარმომადგენლებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა აფხაზეთის ველომარბიელთა კოლექტივი, მესამეზე—ქუთაისის ოლქის გუნდი.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ველორბოლა ეაეკეხისათვის 200 კილომეტრზე. ფინიშამდე უძლიერესთა ოთხეული ვ. ძებნიაურის, მ. ბეჟანიშვილის, ო. კაკაშვილისა და კ. საფრონოვის შემადგენლობით თანაბრად მიდიოდა. გადამწყვეტ მომენტში სწრაფი რბოლა განავითარა ვ. ძებნიაურმა და პირველობა მოიპოვა. 200 კილომეტრი მან 6 საათში, 59 წუთსა და 50,3 წამში დაფარა. მეორე ადგილი დაიკავა მ. ბეჟანიშვილმა, მესამე—ო. კაკაშვილმა.

ველორბოლა ქალთათვის 25 კილომეტრზე დამთავრდა თბილისის ოლქის პირველი გუნდის წარმომადგენლის ვ. ხეჩოიანის გამარჯვებით. მისი დროა 52 წუთი და 35,5